საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 49 (322) ● სამშაბათი, 24 მარტი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

ნუსელ

შევიჩვევთ

საფრანგეთმა ცნო საქართველო

პარიზი. საფრანგეთმა ევროპის გაერთიანების წევრი 12 ქვეყნის ერთობლივი გადაწყვეტილების ფარგლებში ცნო საქართველო. ამას იუწყება დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მის მიერ აქ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ამიერიდან შეესაბამება იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია ევროპის გაერთიანების მიერ ახალ სახელმწიფოთა ცნობის დროს.

ფრანს პრესის სააგენტოს კომენტარში, რომელმაც ეს ახალი ამბავი გაავრცელა, ნათქვამია, რომ საქართველო იყო ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან ერთადერთი, რომელიც ამ ბოლო დრომდე არ უცვნია მსოფლიო გაერთიანებას. ახლა კი ევროპის გაერთიანების, კერძოდ, საფრანგეთის გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ამას, არამედ აგრეთვე საქართველოს მონაწილეობასაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა ჰელსინკის შეხვედრაში.

დასავლეთევროპელებმა, აღნიშნა შემდეგ ფრანს პრესის სააგენტომ, ამ საკითხში უნდა გაითვალისწინონ უწინარესად ის ვალდებულებანი, რომლებიც იკისრა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ, განსაკუთრებით ევროპის გაერთიანების მოთხოვნათა შესრულების თვალსაზრისით. ხელისუფლებაში მოსვლის სულ რამდენიმე დღის შემდეგ მან პორტუგალიას — ქვეყანას, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გაერთიანებაში, — გაუგზავნა წერილი, რომელიც შეეხება ევროპის გაერთიანების კრიტერიუმებთან საქართველოს შესაბამისობის პრობლემას. რაც შეეხება დემოკრატიის გზაზე მისი შემდგომი ევოლუციის გარანტიებს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, რომლის ციტატა მოჰყავს ფრანს პრესს, განაცხადა: „ის ფაქტი, რომ ახლა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სათავეში უდგას შევარდნაძე, მისი ქვეყნის დემოკრატიულ განზრახვათა გარანტიაა“.

ნორვეგიამ აღიარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა

ოსლო. ნორვეგიის მთავრობამ დღეს ოფიციალურად აღიარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. აღიარებას შეიცავს წერილი, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტურვალდ სტოლტენბერგმა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს.

ნორვეგიის მინისტრი მიესალმება საქართველოს მისწრაფებას ააშენოს სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოება. იმავდროულად წერილში ხაზგასმულია, — ნორვეგიის მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ხელმძღვანელობის განცხადებებს, რომ იკისრებს ყველა საერთაშორისო ვალდებულებას ყოფილ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულებების, მათ შორის შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ ხელშეკრულებების მიხედვით.

ამრიგად, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროში გავრცელებულ დოკუმენტში, — ნორვეგიის სამეფომ დაამთავრა ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების აღიარების პროცესი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა

ფაქტი

კომენტარი

გაზაფხული დადგა, საშურია ყოველი დღე და საათი, უნდა ავამოქმედოთ მთელი ეროვნული ენერგია და მივაშუროთ მარჩენალ მიწას, რადგან გაზაფხულის ამ დღეების ნაყოფიერად გამოყენებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის მომავალი!

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს

თანამემამულენო!

ქართველი ხალხი მძიმე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ურთიერთდაპირისპირება, ძმათამკვლელი ომი, ათასობით ლტოლვილი, სურსათის მწვავე ნაკლებობა, უნდობლობა და გაუტანლობა მწარე სინამდვილედ გვექცა.

ასეთი უმძიმესი მდგომარეობიდან მხოლოდ ურთიერთთანადგომა და ერთობლივი შრომა გამოგვიყვანს, მხოლოდ საკუთარი მარჯვენა გადაგვარჩენს.

გაზაფხული დადგა, საშურია ყოველი დღე და საათი. უნდა ავამოქმედოთ მთელი ეროვნული ენერგია და მივაშუროთ მარჩენალ მიწას, რადგან გაზაფხულის ამ დღეების ნაყოფიერად გამოყენებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის მომავალი!

საქართველოში დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. კერძო საკუთრება, როგორც ეს ცივილიზებული სამყაროს გამოცდილებამ გვიჩვენა, ნაცადი ფორმაა რეალური შრომითი ნაყოფიერებისათვის, მაგრამ სახელმწიფოებრივი, საკოლმეურნეო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლის პროცესი, უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს, ამიტომ თითოეული ჩვენგანი უნდა ავმაღლდეთ პრობლემების საერთო ეროვნულ გაგებამდე, დავძლიოთ უარყოფითი ემოციები და ვაკეთოთ მამულიშვილური საქმე. არასგზით არ უნდა დავუშვათ კოლმეურნეობის, მეურნეობის კუთვნილი ტექნიკის, პირუტყვის, შენობების დატაცება. სოფლის თავკაცებმა და სამეურნეო დარგის მუშაკებმა, სასოფლო სამეურნეო სამსახურების მესვეურებმა საქმით უნდა დაამტკიცონ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის, მისი მომავლისათვის ამ გადამწყვეტ ეტაპზე შეუძლიათ თავდადებული ბრძოლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. დღეს, როგორც არასდროს ისეთი მონდომებით უნდა მოვეკიდოთ საქმეს, რადგან ამას გვავალებს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ თუ თავის დროზე არ დავთესავთ, შემოდგომაზე ვერაფერს მოვიმკით და ახლანდელზე უფრო მეტად გაგვიჭირდება.

დასამალი არ არის, რომ წელს შეიძლება საკმარისად არ გვქონდეს მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები, საწვავი მასალები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მარაგნაწილები და წარმოების სხვა საშუალებანი, მაგრამ არ უნდა შევუშინდეთ სიძნელეებს, მომჭირნეობით გამოვიყენოთ არსებული, ზოგან მამა-პაპური საშუალებანიც მოვიმარჯვოთ და ასე, საერთო ძალისხმევით და ურთიერთთანადგომით მოვიწიოთ პური ჩვენი არსებობისა.

ახლა, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს ჩვენში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, როცა საქართველოს სოფლის წინაშე იშლება განვითარების ახალი, დიდმნიშვნელოვანი პერსპექტივები, ყველას გვმართებს ხელი შევუწყოთ ამ პროცესის დაჩქარებას.

საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული აღორძინების პირველი გაზაფხულის დადგომის ამ გადამწყვეტ ჟამს საქართველოს სახელმწიფო საბჭო მოგმართავთ თქვენ, სოფლის მშრომელებო, საკარმიდამო მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, მოიჯარეთა ფორმირებების, სახელმწიფო მეურნეობათა მხნელ მთესველებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო, არ ვუღალატოთ ჩვენს მარჩენალ მიწას და მამა-პაპური კეთილსინდისიერი შრომით შევუქმნათ დოვლათი ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას. მოდით, ასე აღვნიშნოთ ეს დიდი ისტორიული გარდატეხა საქართველოს ეკონომიკასა და ჩვენი ერის ცხოვრებაში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

შეხვედრები კახეთის მშრომელებთან

21 და 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ედუარდ შევარდნაძე** კახეთს ეწვია, რათა გაცნობოდა ვითარებას რესპუბლიკის ამ რეგიონში, გასაუბრებოდა მშრომელებს, მოესმინა მათი სურვილები, პრეტენზიები, შეხედულებანი ამა თუ იმ სადღეისო თუ სამერმისო საკითხებზე. ეს იყო ედუარდ შევარდნაძის ამ პოსტზე ყოფნის დროს პირველი გასვლა რესპუბლიკის ამ რეგიონში. მასთან ერთად იყვნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნოდარ ჟითანავა**, სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი **ირაკლი ანდრიაძე**, ინფორმაციის მინისტრი **არჩილ გოგელია**, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით სალარიძე**, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კახეთის რაიონებში მოგზაურობას წითელ ზოლად გასდევდა მიწების პრივატიზაციის, მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლის, კრიზისიდან თავის დაღწევის გზების ძიების, დემოკრატიული პროცესების შემდგომი განვითარებისა და დაჩქარების, კრიმინოგენური სიტუაციის დაძლევის, სხვა საჭირბოროტო საკითხები.

პირველი შეხვედრა საგარეჯოს რაიონში გაიმართა. აქ არსებულ ვითარებაზე, რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან მოსახლეობის დამოკიდებულებაზე, ხალხის განწყობილებაზე, გლეხკაცის გაჭირვებაზე, ვითარების გაჯანსაღების აუცილებლობაზე, სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებზე ისაუბრა რაიონის საკრებულოს გამგებელმა **გივი საბაშვილმა**.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაინტერესდა რაიონის ცხოვრების ყველა დეტალით, დაწვრილებით გაეცნო საქართველოში მიმდინარე სტაბილიზაციის პროცესებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას, მათს გუნება-განწყობილებას, მათს პოზიციას, იმედებს თუ უიმედობას.

დიდი იმედითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ედუარდ შევარდნაძეს გურჯაანის რაიონის სოფელ ნანიანში, სადაც უშუალოდ ზვრებში მოიყარეს თავი სოფლის მშრომელებმა. გულახდილი და საქმიანი დიალოგის დროს გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ იქნებ ამ ეტაპზე ჭერჭერობით არ ღირდეს ყველა კოლმეურნეობის დაშლა, რადგან გლეხკაცს არ გააჩნია ტექნიკა, შხამქიმიკატები და, ასე განსაჯეთ, ვენახის სასხლავი მაკრატელიც კი, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად ამ ბოლო დროს დეფიციტი გახდა. ხოლო რაც შეეხება მიწის პრივატიზაციას, აქაც საჭირო იქნება დიფერენციული მიდგომა — გადაიხსნჯოს მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის ნორმები სხვადასხვა რეგიონის პირობების გათვალისწინებით.

ქალაქის ცენტრში სულ რამდენიმე წუთში თავი მოიყარა ასობით გურჯაანელმა. ყველას აინტერესებდა უშუალოდ გასაუბრებოდა რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელს, ვისაც ძალიან კარგად იცნობენ, ვისიც სჯერათ და ენდობიან, ვისაც დიდი იმედებით შეხვდნენ და ვისგანაც უნდოდათ მოესმინათ დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, გაეგოთ მისი აზრი რესპუბლიკის კრიზისიდან გამოსვლის გზებისა და მიზნების შესახებ.

ქალაქის საკრებულოს გამგეობის შენობაში, სადაც შეიკრიბნენ საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელები, ედუარდ შევარდნაძემ დაუფარავად ისაუბრა იმ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელშიც ამჟამად აღმოჩნდა საქართველო, იმ გეგმებზე, რომლებსაც მიზნად ისახავს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში კრიზისის დაძლევისათვის.

— კახეთის მოსახლეობასთან შეხვედრებმა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — იმედი მომცა. დავრწმუნდი, რომ ხალხი მონატრებულია შრომას, ხალად ხედავს და აფასებს შექმნილ სიტუაციას, მოწადინებულია, ბოლოს და ბოლოს თავი დააღწიოს კრიზისს, იცხოვროს ნორმალურად, ადამიანურად, არ ჰქონდეს ხვალის შიში, ითქვა, რომ პრივატიზაცია ეს იძულებითი ღონისძიება კი არ არის, დროის მოთხოვნაა, ხოლო თუ სადმე ჭერჭერობით ეს საქმე მოუმწიფებელია, იწვევს მოსახლეობის ეჭვს, აქ დაჩქარება და ძალადობა ყოვლად დაუშვებელია. გლეხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი.

საუბარი შეეხო აგრეთვე ეკონომიკის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლას, უცხოეთის ფირმებთან კონტაქტების დამყარების პერსპექტივებს, ქართული ბიზნესის განვითარებას და ხელშეწყობას, კრიმინოგენური ვითარების განმუხტვას...

შეხვედრაზე გამოსულებმა ილაპარაკეს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. შეხვედრაზე ითქვა: მიუხედავად იმისა, რომ კახეთს თავადაც ძალიან უჭირს, კახელები მზად არიან შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდონ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებლებს მთლიანად რესპუბლიკაში სტაბილიზაციისათვის.

ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა აგრეთვე ქალაქის საავადმყოფო, გაეცნო სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებულ მრავალ გადასაჭრელ საკითხებს.

ამაღელვებელი იყო შეხვედრა აღორძინებულ სოფელ ჭერემის მცხოვრებლებთან, რომლებიც გულმხურვალედ მიესალმნენ ედუარდ შევარდნაძეს და აღნიშნეს, რომ ერთობლივი გარჯით შეეცდებიან დაეხმარონ ქვეყანას ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში.

თელავისაკენ მიმავალი ედუარდ შევარდნაძე სოფელ აკურაში შეხვდა ადგილობრივ მკვიდრთ. აქ სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებთან ერთად მისი ყურადღება მიაპყრეს სწავლა-აღზრდის საკითხებს, ვინაიდან ამ სფეროში დღემდე ქაოსი და გაურკვევლობაა. აღინიშნა, რომ სკოლის საკითხები არასოდეს არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი. არადა, განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში, მისდამი ყურადღება თითქმის შენელდა.

ედუარდ შევარდნაძე დაეთანხმა საკითხის ამგვარ შეფასებას და აღნიშნა, რომ მომავალი თაობის აღზრდის პრობლემებით აკურელთა სისხლხორცეულად დაინტერესება ყურადღების ღირსია და ისაუბრა ამ საკითხის მოგვარების გზებზე.

ნაფარეულის აგროფირმის გაცნობისას ფირმის მუშაკებმა და სოფლის მცხოვრებლებმა არაერთი აქტუალური საკითხი წამოჭრეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის წინაშე, კერძოდ, ადგილობრივ პირობებში აგროფირმების არსებობის აუცილებლობაზე, ბარტერული წესით გაცვლითი ოპერაციებზე, დეფიციტის აღმოფხვრის გზებზე, კომერციული მაღაზიების საქმიანობაზე და მრავალ სხვა საკითხზე.

თელავის საკრებულოში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ ხელმძღვანელებთან. აქაც საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა აქტიურ მეცადინეობას ახალ პირობებში მუშაობასთან დაკავშირებით, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობას და ა. შ.

დაინტერესებულთა სჯა-ბაასმა ორ საათს გასტანა თელავის სახელმწიფო თეატრის შენობაში. ქალაქის მოსახლეობის არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ საუბარი უაღრესად მწვავეც კი იყო. პირუთვნელი კრიტიკა შეეხო რესპუბლიკაში განხორციელებულ ზოგიერთ ღონისძიებასაც, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, რომ დიალოგი ყოფილიყო გულახდილი, გულწრფელი, საქმიანი, მომავლის ბედით დაინტერესებული.

მთლიანად კი კახეთის მიწებზე შეხვედრებმა წარმოაჩინეს, რომ საქართველო ერთიანია, რომ ერისათვის სულ ერთია და განურჩეველი, ისე როგორც დედისათვის, ყველა თავისი შვილის ტკივილი და საზრუნავი. მაგრამ მთავარი დასკვნა, რაც შეიძლება ამ შეხვედრებიდან გამოვიტანოთ, ესაა ურყევი ოპტიმიზმი, ერის მთლიანობის რწმენა, ჩვენი ხვალინდელი დღის უკეთესობა, ის, რომ ქართველი ხალხი, ისევე როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის მანძილზე, პირნათელი გამოვა ამ ძნელბედობის ჟამიდან და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კახეთის მშრომელებთან შეხვედრისას მადლობა გადაუხადა მათ, მათი სახით კი მთელ ქართველ ხალხს მხარდაჭერისათვის, იმისათვის, რომ ისინი გაგებით ეკიდებიან დღევანდელი საქართველოს უაღრესად დაძაბულ სიტუაციას, მზად არიან თანადგომისა და თავდადებული შრომისათვის, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს მომავლის მოახლოებისათვის.

საქინფორმი.

სურათზე: შეხვედრის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რობერტ სტურუა: კვლავ მშობლიურ სცენაზე

უკან დარჩა დაძაბული მუშაობის თვეები ჰელსინკში, სადაც ფინეთის ეროვნული თეატრის სცენაზე თვალსაჩინო ქართველმა რეჟისორმა დადგა შექსპირის „შეცდომათა კომედია“. უკან დარჩა მის სამშობლოში, თბილისში დატრიალებული მოვლენების გამო გულისტკივილის, მეგობრების, კოლეგების, ახლობლების, მშობლიური თეატრის ბედის გამო განცდების დრო... უკან დარჩა ფინეთის სცენაზე დადგმული სპექტაკლის უდიდესი წარმატება, რომლის პრემიერა, როგორც ადგილობრივი პრესა მოწმობს, ფინეთის დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების მოვლენა გახდა. და, აი, რობერტ სტურუა კვლავ თბილისშია.

— ბატონო რობერტ, თქვენზე ამბობდნენ, ემიგრაციაში წავიდაო. მართლა ასე იყო?

— რა თქმა უნდა, არა. ჰელსინკში მუშაობა ჩვეულებრივი საქმიანი ხელშეკრულებით მუშაობა იყო. როცა რუსთაველის სახელობის თეატრი 1989 წელს ჰელსინკში საგასტროლოდ ჩავიდა, სადაც „მეფე ლირი“ წარმოადგინა, მივიღე მოწვევა დამედგა სპექტაკლი ფინეთის ეროვნულ თეატრში. ამ შეთანხმებისამებრ, თუმცაღა დათქმულ ვადაზე ცოტა ადრე, აღმოვჩნდი ჰელსინკში. მშობლიური თეატრის სცენაზე გავდიოდით ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ რეპეტიციას, მაგრამ დადგა სექტემბერი. მოვლენები ერთმანეთს მიჰყვა და პრაქტიკულად მუშაობა შეუძლებელი გახდა. კაცმა რომ თქვას, თუ ხელოვნებისადმი მაშინდელ ხელისუფალთა დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, ამ დარგში მუშაობა, ჩემი აზრით, უზნეობაც კი იყო...

ჯეფერსონს საშინელი რამ აქვს ნათქვამი, რომ დემოკრატია ისეთი ხეა, რომელიც სისხლით უნდა მოირწყასო. აი, მეც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, ნუთუ ეს საზარელი ხვედრი არ ასცდება ჩემს ხალხს? ვიცოდი, თუ რა ხდებოდა აქ და აუტანელ ტკივილს განვიცდიდი. ძნელია იმის გადმოცემა, რას გრძნობს ასეთ საშინელ დროს სამშობლოს, მეგობრებს, ახლობლებს მოწყვეტილი კაცი... გაითვალისწინეთ ისიც, რომ კომედიას ვდგამდი.

ვფიქრობ, რომ ჩვენმა ხალხმა ყველაფერი უნდა გააანალიზოს. გარედან შეხედოს თავს, დაინახოს ბოროტება, რომელიც, ალბათ, თითოეულ ჩვენგანშია. და შეეცადოს მის აღმოფხვრას, რათა აღარ განმეორდეს ის კოშმარი, ყოველ ჩვენგანს რომ დაატყდა თავს.

— რატომ გადაწყვიტეთ დაგედგათ „შეცდომათა კომედია“?

— შექსპირი სტანდარტულ სიტუაციათა გენიაა. ერთნაირად ბრწყინვალედ წყვეტს იგი ამას კომედიებშიც და ტრაგედიებშიც. ამიტომ მისი ყველაზე მხიარული კომედია ღრმა განსჯის საბაბს იძლევა...

— რაზე აპირებთ მუშაობას?

— ამ დღეებში ვიწყებ ესპანელი კლასიკოსის კალდერონის პიესის — „ცხოვრება სიზმარია“ — მიხედვით სპექტაკლის რეპეტიციებს. რუსთაველელთა სპექტაკლს მაყურებელი იხილავს სევილიის მსოფლიოს თეატრალურ გამოფენაზე, სადაც იგი მიწვეულია მსოფლიოს 10 საუკეთესო თეატრალურ დასს შორის. ეს პიესა, რომელზეც არჩევანი შევაჩერეთ ერთი წლის წინათ, დიდად აქტუალურად ჟღერს დღევანდელი საქართველოს ცხოვრებისთვის. იგი ასახავს ხალხის ხელმძღვანელობის — დიქტატორული და ჰუმანური მიდგომის ორ პრინციპს. პიესის მთავარი გმირია უფლისწული, რომელიც შეეცდება ორივე მეთოდი გამოიყენოს და გამოაქვს დასკვნა, რომ თუ ცხოვრება მაინც სიზმარია და ყველაფერი სწრაფწარმავალია, ამ ულმობელ სწრაფ მდინარებაში ერთადერთი სწორი გზა ჰუმანური გზაა. სწორედ ეს აზრი იქნება სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტის ღერძი.

არის კიდევ ერთი წინადადება — დავდგათ „ჰამლეტი“ ლონდონში. მთავარი როლის შემსრულებლად მოვიწვიე ბრიტანეთის თეატრისა და კინოს ამომავალი ვარსკვლავი **ალან რიკმანი**, რომელმაც შერიფის როლი შეასრულა „რობინ ჰუდის“ ახალ კინოვერსიაში. და, რა თქმა უნდა, განვაგრძობთ „სამგროშიანი ოპერის“ რეპეტიციებს. უფრო მოგვიანებით კი დავიწყებთ მუშაობას ოთარ ჭილაძის პიესაზე „ლაბირინთი“.

ნომერში:

- ჩვენს გაფუჭებულ საქმეს ჩვენვე უნდა მივხედოთ. მე-2 გვ.
- „ოზსსი“: გაუქმდეს თუ ჩამოყალიბდეს ახალი სტრუქტურა? მე-2 გვ.
- რა სჭირდება კერძო ეროვნულ სკოლას? მე-3 გვ.
- სავალუტო ლატარეა — იგებს ყოველი მეხუთე! მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

სამხედრო კომენდანტის ცნობა

— განვლილ დასვენების დღეებში ღამით სროლამ დაარღვია მძინარე ქალაქის სიჩუმე. ჩვენი გვარდიელები იძულებული იყვნენ ჰაერში გაესროლათ, როცა, მათი მოთხოვნით მანქანა არ გაჩერდა. ხელზე მოსახლეობას ჭერ კიდევ ბევრი იარაღი აქვს. დაკავებულია ორი თბილისელი, რომლებსაც ჩამოართვეს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის კომენდანტის მოადგილემ **მურთაზ გაბუნიამ**.

გარდა ამისა, ამ დღეებში, უნდა ითქვას, რეკორდული იყო ავტომანქანების გატაცება. ამასთან, დამნაშავეებს მანქანები მიჰყავთ დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ. იმედი გვაქვს, რომ მილიციასთან ერთად შევძლებთ მანქანები კანონიერ მფლობელებს დავუბრუნოთ.

წუხელ იყვნენ ღამით სეირნობის მოყვარულნი, თანაც მთვრალებმა მოისურვეს ეს. 15 კაცი იყო. თითოეული გადაიხდის 500-დან 1500 მანეთამდე ჯარიმას.

სამწუხაროდ, თქვა დასასრულ მურთაზ გაბუნიამ, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუ როდის დამთავრდება კომენდანტის საათი თბილისში. ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ მოვუწოდებ თბილისელებს სიმშვიდისა და გონიერებისათვის. გაჩერდით, როცა გვარდიის პიკეტები და მილიცია მოითხოვენ, ნუ ივლით მანქანებით, როცა კომენდანტის საათი იწყება.

კონგრესმენები ბჭობენ

— მას შემდეგ, რაც აღდგა საქართველოს კანონიერი კონსტიტუცია, საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ამიტომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი პირვანდელი შინაარსით შეუძლებელია არსებობდეს. ამდენად, საქართველოს ეროვნული კონგრესის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოს, ფუნქციონირების გაგრძელებაც აზრს კარგავს. — ეს მოსაზრება, რომელიც ეროვნული კონგრესის 21 მარტის სესიის დასაწყისშივე გამოითქვა, სხდომის მონაწილეთა უმრავლესობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და საკმაოდ მწვავე და პრინციპული მსჯელობის საგანი გახდა. უმრავლესობის აზრით, ვიდრე საქართველოს არ ექნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ფუნდამენტური ნიშანი და ატრიბუტი, ვიდრე არ დადგინდება საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის კონკრეტული ვადები, ანუ ვიდრე საქართველო არ გახდება ფაქტობრივადაც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეროვნული მოძრაობა თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს. ეროვნულ კონგრესში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ამ ნაწილმა გადაწყვიტა აგრეთვე, რომ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინოს მოთხოვნები, რომლებიც, მათი აზრით, უახლოეს მომავალშია გადასაწყვეტი.

სესიამ მომავლისათვის გადადო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები კონგრესის რეგლამენტში ცვლილებების შეტანისა და პრეზიდიუმის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო მისი რეორგანიზაციის შესახებ.

ბიზნესის კვირეული საქართველოში

საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის სხვადასხვა ფირმების, კომპანიების, საზოგადოებების წარმომადგენელი ბიზნესმენები მონაწილეობენ „ბიზნესის კვირეულში“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ მოაწყო.

— იგი იმართება 21-28 მარტის პერიოდში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **გივი თალაკვაძემ**. — ჩამოსულთა შორისაა ბატონი რამაზ პაპუაშვილიც. იგი პარიზში მეთაურობს ორგანიზაცია „ქართულ სახლს“, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს საქართველოსა და საფრანგეთის კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას. სტუმრები გააანალიზებენ სამინისტროს პოტენციალს, განიხილავენ გრძელვადიანი თანამშრომლობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. მათი ინტერესი ხომ საკმაოდ ფართოა. მაგალითად, ბათუმსა და ფოთში ისინი გაეცნობიან ნავსადგურების მუშაობას, ნავთობგადამუშავების, გემთმშენებლობის, თევზჭერის პროცესების ორგანიზაციას. თბილისში ბიზნესმენები ეწვევიან, კერძოდ, საწარმოო ავიასამშენებლო გაერთიანებას, აგრეთვე რუსთავში — „აზოტს“. საზღვარგარეთელი პარტნიორები უყურადღებოდ არ დატოვებენ ენერგეტიკული კომპლექსის ობიექტებს, სამთო, მსუბუქი, საიუველირო მრეწველობის, ხალხური სარეწების საწარმოებს.

გაიგზავნა პირველი პროდუქცია

თანამეგობრობის ქვეყნებში პროდუქციის ექსპორტირება დაიწყო მანგანუმის დანამატების ახალმა ქარხანამ, რომელიც მწყობრში ჩადგა მარნეულის პურპროდუქტების კომბინატში. კომბინირებულ საკვებზე გასაცვლელად რუსეთისა და უზბეკეთის საწარმოებს გაეგზავნა 200 ტონაზე მეტი ეს მინერალური კონცენტრატი, რომელიც მათი მაღალხარისხოვანი გამამდიდრებლების წარმოებას ხმარდება. როგორც აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს ვალერი ბაბუაძეს რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის სპეციალისტებმა, მანგანუმის დანამატებზე დიდი მოთხოვნა იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს გარდა ყოფილ სსრ კავშირში მათ აწარმოებდნენ მხოლოდ უკრაინაში ნიკოპოლის საბადოს მადნებისაგან.

მარნეულის ახალ ქარხანაში დანამატების გამოშვება ათვისებულია ტექნოლოგიით, რომელიც შეიმუშავა ავტორთა ჯგუფმა საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „კომბინირებული საკვების“ დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ჯუმბერ კაციტაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად 100 ტონამდე მანგანუმის კონცენტრატი აქ მომზადებულია მოსკოვის ოლქის ვორონოვსკის კომბინირებული საკვების ქარხანასთან ბარტერული გარიგებისათვის. სულ წლის განმავლობაში საწარმო აპირებს მიაწოდოს მომხმარებლებს დაახლოებით 6.000 ტონა მწვავე დეფიციტური პროდუქცია.

ტელეტაიპის ლენტიდან

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებით დამტკიცდნენ:

ვახტანგ გოგუაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივნის თანამდებობაზე;

ირაკლი ანდრიაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობაზე;

ალექსანდრე გოგორიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს უშიშროებისა და სამართალდამცველი ორგანოების მუშაობის საკითხთა მთავარ სახელმწიფო მრჩევლად.

თბილისი

**საქართველოს
სახელმწიფო
საბჭოს
თავმჯდომარეს**

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელზე კვიპროსიდან მოვიდა ასეთი შინაარსის დეპეშა:

„მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს.

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენ დაიკავეთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა.

თქვენი მრავალმხრივი და ღრმა ცოდნა საერთაშორისო თუ ეროვნული რეალიებისა, ისევე როგორც თქვენი პირადი თვისებები და თქვენი ერთგულება დემოკრატიის პრინციპებისადმი, გამოადგება არა მარტო თქვენს ქვეყანას, არამედ მთელ რეგიონს, სტაბილიზაციისა და მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში.

თქვენი უნარიანი ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხისათვის იწყება პროგრესისა და სტაბილურობის ახალი ერა.

კვიპროსის ხალხისა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით გისურვებთ წარმატებებს თქვენს წამოწყებებში. მე იმედით შევყურებ ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს.

გიორგი ვასილიუ,
კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი.“

„საქართველოსათვის უფრო მნიშვნელოვანია დადოს ხელშეკრულება რუსეთთან, ვიდრე შევიდეს თანამეგობრობაში“

— განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ გაზეთ „ლიბერასიონისათვის“ მიცემულ ინტერვიუში

მან მხარი დაუჭირა ასეთი ორმხრივი ხელშეკრულების უსწრაფეს დადებას, აგრეთვე შიდა ქართლიდან თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფების შეთანხმებულ და ორივე მხარისათვის უმტკივნეულო გამოყვანას. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან საქართველოს შეერთება არ არის პოზიტიური, ქართველები მხარს არ უჭერენ ამ ნაბიჯს, აღნიშნა ე. შევარდნაძემ. მისი აზრით, საჭიროა დასავლეთის ხელშეწყობით გაიმართოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხელმძღვანელთა შეხვედრა კავკასიაში ვითარების მოწესრიგების მიზნით, რამეთუ მას ლიბანის ტიპის ომის პერსპექტივა ემუქრება.

ედუარდ შევარდნაძის აზრით, საქართველოში უაღრესად მძიმე მდგომარეობაა: მოშლილია ეკონომიკა, გრძელდება სამოქალაქო ომი. „ამჟამად ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ შიმშილი. არ ვიცი, როგორ გადავიტანთ მომავალ ზამთარს. ეს იქნება საშინელი პერიოდი, თუ ვერ გამოვძებნეთ დამატებითი რესურსები. ჩვენ მიმდინარე წლის ბიუჯეტიც კი არა გვაქვს“.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე სთხოვს დასავლეთს სასწრაფოდ დაეხმარონ საქართველოს. ახლა ქვეყანას სჭირდება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაცია. ამაზე მუშაობს სახელმწიფო საბჭო, რომელმაც გადაწყვიტა მოაწყოს პარლამენტის არჩევნები არაუგვიანეს ამ შემოდგომისა, აღნიშნა მან.

თუ რა ბედი ეწევა ზვიად გამსახურდიას, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ახლანდელი მთავრობისა და პროკურატურის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის საქმიანობის გამოძიება. საგამოძიებო ჯგუფის მუშაობის ობიექტურობას შეამოწმებენ საერთაშორისო ექსპერტები, და მხოლოდ შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, დამნაშავეა თუ არა გამსახურდია. თუ იგი არ არის დამნაშავე, ხელს არავინ ახლებს, თქვა ე. შევარდნაძემ.

იტარ-ტასი.

ადგილობრივი თვითმმართველობა: პრობლემები, პერსპექტივა —

საქმეს გონივრული მიდგომა სჭირდება

რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო ქონების მუნიციპალიზების საკითხებთან დაკავშირებით

ამირან ბაბ. სონია,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური რეფორმის სამმართველოს უფროსი.

როგორც ვიუწყებოდით, მარტის პირველ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების თათბირი.

გამართულ სჯა-ბაასში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოებისა და სახელმწიფო ქონების მუნიციპალიზების საკითხებმა.

სწორედ ამის თაობაზეა ლაპარაკი ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილში.

რესპუბლიკას საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში უმძიმესი დღეები დაუდგა. განსაკუთრებით მოიშალა ეკონომიკა. უკვე მესამე წელია დაიწყო საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურების დამკვიდრების ცდები, მაგრამ ჯერჯერობით ხელშესახები პოზიტიური ძვრები არ ჩანს. ეს სტრუქტურები თავიანთ საქმიანობას, როგორც წესი, წარმართავენ მხოლოდ კერძო ინტერესების საფუძველზე, რაც არ შეესატყვისება მოსახლეობის ფართო ფენების, უპირატესად მისი სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი კატეგორიის ინტერესებს. სპეკულაცია კომერციად მოინათლა, სახელმწიფო ქონების განუკითხავი მითვისება და ძარცვა — ბიზნესად. ამის შედეგად ღრმავდება მოსახლეობის დიფერენცირება ანტაგონისტურ ფენებად, ნოყიერი ნიადაგი ექმნება კრიმინოგენულ ვითარებას.

ასეთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაციის ნელი ტემპი, სახელმწიფო საკუთრებისა და მისი სტრუქტურებისთვის დომინირებული სტატუსის შენარჩუნება, რაც აფერხებს ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას, ეკონომიკის სფეროში ნერგავს განუკითხაობას, ხელს უწყობს „ფარული ეკონომიკის“ არხებით სახელმწიფო სექტორის ფასეულობათა კერძო სექტორში „გადანაცვლებას“. მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრების ფარული რღვევის ინტენსიური პროცესი. **მუნიციპალიზებისა და პრივატიზების გზით განსახელმწიფოებრიობა ამჟამად სახელმწიფო ქონების საკუთრების ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებაა.** ამას მოითხოვს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. ამჯერად მოკლედ შევჩერდებით სახელმწიფო ქონების მუნიციპალიზებასა და მის ზოგიერთ ასპექტზე.

სახელმწიფო ქონების მუნიციპალიზებაში იგულისხმება ეროვნული მეურნეობის რიგ დარგებში ამ ქონების ერთი ნაწილის (საწარმოების, ორგანიზაციების) უწყებრივი (დარგობრივი) მართვის დაქვემდებარებიდან ქალაქებისა და რაიონების მართვის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადაცემა და ამ გზით ადგილობრივი მეურნეობის ინსტიტუტის (მუნიციპალური საკუთრების) შექმნა. ეს ეხება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ადგილობრივი ტრანსპორტის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ხე-ტყის გადამამუშავებელ, საშენ მასალათა დამამზადებელ, მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთ მცირე და საშუალო საწარმოს (წარმოებას), რომელთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას განსაზღვრავს ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, ე. ი. ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა პროდუქცია და მომსახურება უპირატესად ადგილზე მოიხმარება.

ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მართვის ორგანოების გამგებლობაში ამ საწარმოთა გადაცემა უნდა განხორციელდეს, ერთი მხრივ, ამ ორგანოთა და, მეორე მხრივ, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების შეთანხმებით, რომელსაც რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები (ეკონომიკის, ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროები, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი) უხელმძღვანელებენ. საბოლოო გადაწყვეტილებას მუნიციპალიზების გზით სახელმწიფო ქონების ტრანსფორმირების თაობაზე მიიღებს რესპუბლიკის მთავრობა.

ამ სამუშაოს ჩატარებით პირველად რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური მართვის პრაქტიკაში განხორციელდება მართვის ადგილობრივი ორგანოების სამეურნეოანგარიშიანი უფლებების რეალურად გაფართოება და თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე მათი გადაყვანა.

ეს დიდი ნაბიჯი არსებითად ნიშნავს ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტების რეორგანიზაციას, ბიუჯეტური (ე. წ. ცენტრიდან) დაფინანსების პრაქტიკის შეცვლას ადგილზე შექმნილი შემოსავლის ხარჯზე. ჩვენ რესპუბლიკაში ხომ კვლავ უცვლელად ვიყენებთ საბიუჯეტო ორგანიზაციის მრავალი წლის წინანდელ პრაქტიკას, რომელიც მდიდარ რაიონებსა და ქალაქებს აღარიბებს, ღარიბებს კი ვერ ამდიდრებს, მართვის ადგილობრივ ორგანოებში ნერგავს უინიციატივობას, სხვის (უპირატესად — ცენტრის) კმაყოფაზე ყოფნას შემოსავლის გაზრდაში ადგილობრივი ორგანოების დაინტერესება ნულამდეა დაყვანილი. სწორედ ამის გამო, რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო მოცულობაში 15 პროცენტამდე დეფიციტს, ხოლო 11 პროცენტზე მეტი — სუბსიდიის უკავია.

მუნიციპალური საკუთრების პირობებში კი ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტს შორის ნორმატიული მეთოდით განაწილდება. მართვის ადგილობრივი ორგანო ადგილობრივი საჭიროების ხარჯებს მთლიანად საკუთარი, მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებით დაფარავს, დანარჩენს კი, დადგენილი ნორმატივის შესაბამისად, გადარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც მხოლოდ საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ინვესტიციებს და სოციალურ ღონისძიებებს დააფინანსებს. რა თქმა უნდა, ახალი წესის დანერგვა არ გამორიცხავს ცალკეული, განსაკუთრებით მცირეშემოსავლიანი რეგიონებისთვის სუბვენციის (იგივე სუბსიდიის) პრაქტიკის შენარჩუნებას.

თავისთავად ცხადია, მუნიციპალური საკუთრების დამკვიდრება და თვითდაფინანსებაზე დამყარებული მუნიციპალური ბიუჯეტის შემოღება რეალურად დანერგავს მომჭირნეობის რეჟიმს, მკვეთრად გააძლიერებს ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობას საკუთარი ბიუჯეტის შექმნისა და ხარჯვის საქმეში, გაზრდის ეკონომიკურ სტიმულებს. ამასთან, არსებითად შეიცვლება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის ორგანიზაცია და სტრუქტურა, მოხდება ეკონომიკური და საფინანსო უფლებამოსილებათა დიდი ნაწილის დელეგირება ცენტრიდან ადგილობრივ ორგანოებზე, რაც გააიოლებს მართვის რესპუბლიკური დარგობრივი, ეკონომიკური და საფინანსო ორგანოების მუშაობას და გააიაფებს მმართველობის ხარჯებს.

ადგილობრივი მეურნეობის გამგებლობაში მყოფი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ნაწილს შემდგომში განაკერძოვებენ ადგილობრივი მართვის ორგანოები. ტრანსფორმირებული სახელმწიფო საკუთრება გადაეცემათ კერძო მფლობელებს, რომელთა ყოფნა ადგილობრივი მეურნეობის ინსტიტუტის შემადგენლობაში ძირითადად საგადასახადო სისტემის მეშვეობით დარეგულირდება. თავისუფალ სამეურნეო სტრუქტურებს ბუნებრივი განვითარების საშუალება მიეცემათ.

ნუ გვეგონება, თითქოს ადგილობრივი მეურნეობის ჩამოყალიბების იდეა დღეს შობილიყოს. ასეთ მიდგომებს ითვალისწინებდა ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაწყებული საყოველთაოდ ცნობილი ფოთის ექსპერიმენტი, რომელსაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა ბოლომდე განხორციელება. შემდეგ უკვე 1990 წლის აპრილში, მაშინდელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ადგილობრივი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთი მოსამზადებელი ღონისძიების შესახებ. ერთი წლის შემდეგ, 1991 წლის მაისში, რესპუბლიკის მთავრობამ კვლავ გამოსცა განკარგულება დეცენტრალიზაციის, განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესის მომზადებისა და ორგანიზებულად განხორციელების მიზნით ჩასატარებელ სამუშაოთა შესახებ.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის მთავრობის ეს ღონისძიებები სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის გამო ვერ განხორციელდა.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ დღესაც, როდესაც სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობასა და მის მუნიციპალიზებაზე, ადგილობრივი მეურნეობისა და მუნიციპალური საკუთრების შექმნასა და, ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების რეორგანიზაციაზე ვმსჯელობთ, უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ სტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, მტკიცე სამოქალაქო მშვიდობას, მუნიციპალური და კერძო საკუთრების არსებობისთვის მტკიცე სამართლებრივი გარანტიების შექმნას. უამისოდ ეკონომიკის სფეროში რაიმე სტაბილიზებაზე, მით უფრო რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

„ობხსს“ მართლაც გასაუქმებელია, მაგრამ...

ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური ყველა ცივილიზებული ქვეყნის პოლიციას აქვს

შოთა კვირაია,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ისევე, როგორც აუცილებელია ჩვენი ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობის რელსებზე გადაყვანა, გადაუდებელი საქმეა იმ პრინციპების, სტრუქტურებისა და მეთოდების დანერგვა, რომელთაც ცივილიზებული სამყარო იყენებს ეკონომიკური დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

ამგვარი ძირეული ცვლილებები უკვე ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ სტრუქტურაში.

ეს ცვლილებები ხდება ორი მიმართულებით. კადრო პოლიტიკის ძირეული გარდაქმნა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ერთობლივ საწარმოებზე, კოოპერატივებზე და იმ ეკონომიკურ სტრუქტურებზე, რომლებსაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა ქვეყანასთან. ამასთან, ეს იქნება არა მათი საქმიანობის კონტროლი, არამედ თვალყურის დევნება იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა მაქინაციები, რათა არ დაზარალდეს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესები. ერთი სიტყვით, „ობხსს“ ძველი გაგებით, ფაქტობრივად უკვე გაუქმდა.

რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, აქ პრინციპი ერთია — ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური გაიწმინდება სახელგატეხილი და უვიცი თანამშრომლებისგან.

1990 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესმა საგანგებოდ განიხილა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები, აღნიშნა მისი ტრანსეროვნული ხასიათი და მასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა მიიჩნია მიზანშეწონილად. ამ პრობლემას მიეძღვნა 1991 წლის დეკემბერში მოსკოვში გამართული ინტერპოლის სამსახურის სემინარიც.“

შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც შევა ინტერპოლში და მასთან თანამშრომლობით განახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ ბიზნესის განვითარებას, როგორც წესი, თან სდევს დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბება ეკონომიკის სფეროში. გარეგნულად ისინი თითქოს მოქმედებენ სამართლებრივ ფარგლებში, სინამდვილეში სხვადასხვა მაქინაციებით ახერხებენ უკანონოდ მოხვეჭილი ე. წ. „ჭუჭყიანი ფულის“ ლეგალიზაციას, თავის კონტროლს უქვემდებარებენ ეკონომიკის მართვის სადავეებს, უსწორდებიან კონკურენტებს, უკარნახებენ საკუთარ პირობებს. ეს, რა თქმა უნდა, ძირს უთხრის ეკონომიკას, სავალუტო-საფინანსო და საგადასახადო სისტემას, ფასების პოლიტიკას, საბოლოო ანგარიშით კი უხეშად ლახავს საზოგადოების, კერძო ფირმებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. მეტიც, ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის უგულებელყოფა ზოგიერთ ქვეყანას ისეთ მდგომარეობაში აყენებს, როგორშიც ჩავარდა, მაგალითად, პოლონეთი, სადაც ეკონომიკურმა დანაშაულმა 1991 წელს წინა წლებთან შედარებით კატასტროფულად იმატა და მთავრობის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ასეთი გზებით მაფიოზური ჯგუფები აგროვებენ კოლოსალურ კაპიტალს, გადიან საერთაშორისო ასპარეზზე, აყალიბებენ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ჯგუფებს. ყოველივე ეს რეალობაა და ჩვენთანაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისში უკვე შეიმჩნევა ამის ჩანასახები.

ასეთ პირობებში ბოლო ხანს რატომღაც ყალიბდება აზრი, თითქოს არასახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სტრუქტურებში საჭირო აღარ იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდეს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, რომ მისი ფუნქციები შეიძლება შეასრულონ სამოქალაქო ორგანიზაციებმა. ასეთი პოზიცია სწორად არ მიგვაჩნია, რადგან ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური აქვს ყველა ცივილიზებული ქვეყნის პოლიციას, აგრეთვე ინტერპოლს. გარდა ამისა, სამოქალაქო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ტექნიკური და ოპერატიული საშუალებები, პროფესიული ჩვევები. ყოველწლიურად რესპუბლიკაში ეკონომიკის სფეროში ვლინდება ხუთი ათასზე მეტი დანაშაული, რომელთაგან 80 პროცენტი ოპერატიული გზით იხსნება. ამიტომ სამოქალაქო ორგანიზაციებზე დაყრდნობა, ვფიქრობთ, დაუშვებელია. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც გასული ერთი წლის პრაქტიკა, როდესაც მთლიანად მოიშალა სახელმწიფო საკუთრების დაცვის კონტროლი, ფინანსთა სამინისტროს წაყრუებით და უშუალო ხელშეწყობით ბანკებიდან უკანონოდ გაჰქონდათ ასეულმილიონობით მანეთი. კოოპერატივებისა და ასოციაციებისთვის სესხის უსწოროდ გაცემამ ბიუჯეტი გააკოტრა და ფულადი სახსრები მთლიანად გადავიდა არასახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სტრუქტურაში.

მიმდინარე წლის დამდეგისთვის ასოციაციებს, კოოპერატივებს, სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სესხის სახით ბანკებიდან გატანილი აქვთ კოლოსალური თანხა — დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი, დადგენილ ვადებში კი დააბრუნეს მხოლოდ ერთეულებმა. ძალზე ბევრნი არიან ე. წ. უიმედო გადამხდელები — ასოციაციები და კოოპერატივები, რომლებზეც ირიცხება ას მილიონობით მანეთი და ჯერჯერობით სახელმწიფოსთვის ფაქტობრივად ეს ფული დაკარგულია.

ხშირია შემთხვევა, როცა კრედიტები მიზნობრივად არ იხარჯება, ან სხვადასხვა მაქინაციებით ხდება ბანკებიდან ფულის გამოტანა და მითვისება.

1991 წლის სექტემბერში თელავის მრავალდარგოვანი კოოპერატივის „კომფორტის“ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მისმა თავმჯდომარემ ჯ. ელიზბარაშვილმა მარტივი მაქინაციით ბანკიდან გამოიტანა და მიითვისა 1.800.100 მანეთი.

საგანგაშო მდგომარეობაა არასახელმწიფოებრივი ეკონომიკური სტრუქტურების შემოსავლიდან ბიუჯეტში გადასახადების გადარიცხვის საქმეში. კოოპერატივები, ასოციაციები, კომერციული მაღაზიები მასობრივად არიდებენ თავს გადასახადებს.

სერიოზული პრობლემაა საწარმოო კოოპერატივების მიერ ნედლეულის, მანქანა-დანადგარების შეძენა. მოქმედი ინსტრუქციით, კოოპერატორს შეუძლია შეიძინოს ნედლეული სადაც სურს, ვისგანაც უნდა. დამცველი მექანიზმის უქონლობის გამო კოოპერატორს საშუალება ეძლევა თავის საწარმოში შეიტანოს სახელმწიფო სექტორიდან დატაცებული ნედლეული.

ბოლო დროს გახშირდა კოოპერატივების ჩამოყალიბება წარმოება-დაწესებულებებთან. თავისთავად ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კოოპერატივები ხშირად იქმნება სახელმწიფო ქონების დატაცების მიზნით. არის შემთხვევები, როცა საწარმოების ნედლეულს და პროდუქციას კოოპერატივის იარლიყებს აკრავენ და ისე ყიდიან. ამით, რა თქმა უნდა, გადასახადებისაგან თავის არიდების გარდა, მასობრივად ხდება სახელმწიფოს კუთვნილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის დატაცება.

1992 წლის 14 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის სამმართველომ. სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროში“ გამოავლინა 1,2 მილიონი მანეთის გადამალული საქონელი — ვიდეოკასეტები, აუდიოტექნიკა, ქალის წინდები და სხვა. საოჯახო საქონლის საწყობის გამგეს თ. სახიაშვილს აღმოაჩნდა 216.000 მანეთი ნაღდი ფული; ქსოვილების სექციის გამგეს ჯარიაშვილს საკუჭნაოში უპოვეს დიდძალი, 45 დასახელების შალისა და აბრეშუმის ქსოვილები. აქვე აღმოჩნდა 1.209.000 მანეთის აღურიცხავი 89000 მეტრი ჩითი. საქონელი წინასწარ, დანაშაულებრივი მორიგებით, სათანადო საბუთების გაუფორმებლად და გაუტარებლად შემოუტანიათ მცირე საწარმოდან „რდა“. არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს სერიოზულად ლახავენ სხვადასხვა ასოციაციები, საზღვარგარეთის ფირმებთან არსებული ერთობლივი საწარმოები. მათ საქართველოდან გააქვთ მსოფლიო ბაზარზე დეფიციტური საქონელი და ნედლეული, ანტიკვარიატი, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებები, სანაცვლოდ კი შემოაქვთ ჩვენთვის არცთუ აუცილებელი პროდუქცია, — ლუდი, სიგარეტი, კვები, მორალურად მოძველებული ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, რაშიც დიდ მოგებას იღებენ და დიდძალ ვალუტას ითვისებენ.

სერიოზული დარღვევებია ბარტერული ოპერაციების დროსაც.

საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების პროცესში აუცილებელი იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვა. უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ახალი სტრუქტურა,

---

მილიონები ციდან არ ცვივა

გიორგი ნოდია, „სრ“ საკ. კორ.

ინდაურის ხორცი დიეტური პროდუქტია, გემრიელი და სახარგებლო, გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. დადგენილია, რომ სადაც ინდაურის ხორცს ხშირად ჭამენ, იქ იშვიათად ვლინდება ნერვულ სისტემათა დაავადებები. შინაურ ფრინველთა შორის მოზრდილი ინდაურის წონა 12-16, ზრდასრულებულისა 20 კილოგრამამდე აღწევს. მეინდაურეობა კარგად არის განვითარებული ინგლისში, ამერიკასა და კანადაში, სადაც ხორცის წარმოება ძირითადად სამრეწველო საფუძველზე ხდება. ინდაური საქართველოში რუსეთიდან შემოიყვანეს XVIII საუკუნეში.

ქართული სუფრა ინდაურის კერძებით მუდამ თავს იწონებდა, დღეს კი ამ ძვირფასი ფრინველის ყიდვა გაჭირდა. სიძვირეს რომ თავი დავანებოთ (ამბობენ, საახალწლოდ თბილისის ბაზრებში ინდაურს დოლარებით ყიდდნენო), ძნელად თუ იშოვი. არადა, მასზე მოთხოვნილება დიდია. საინტერესოა, რატომ დადგა ინდაურის პრობლემა?

საქმე ის არის, რომ რესპუბლიკაში დღემდე არ არის მეინდაურეობის ფაბრიკა, რომელიც მარტო ხორცით კი არა, ერთდღიანი და ერთთვიანი ჭუკებით დააკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას. თიანეთის რაიონის სიონის ერთადერთი, არარენტაბელური საწარმო, გარდა იმისა, რომ ყველა სამეურნეო წელს დიდი ზარალით ამთავრებს, ამასთანავე აბინძურებს სიონის წყალსაცავს. ამდენად, მწვავედ დგას მისი გაუქმების, ან სხვა დანიშნულებით გამოყენების საკითხი. ასე რომ, შეიძლება თამამად ითქვას: რესპუბლიკაში მეინდაურეობა განწირულია მას შემდეგ, რაც სამოცდაათიან წლებში ერთადერთი ნორიოს სპეციალიზებული ფაბრიკა დანაშაულებრივად გააუქმეს და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას შეუერთეს.

სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას:

ნორიოს (გარდაბნის რაიონი) მეინდაურეობის სპეციალიზებული ფაბრიკის მშენებლობა 1970 წელს დაიწყო და 1973 წლის იანვარში ამოქმედდა. მშენებლობა სამ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა. ფაბრიკამ პირველ წელსვე სახელმწიფოს მიჰყიდა 1 309 ცენტნერი ხორცი; 1974 წელს — 1 962 ცენტნერი; 3 960 ფრთა სადედე ინდაურიდან მიიღო 686 ათასი ცალი კვერცხი, თითოეულიდან — 38 ცალი. 1975 წელს დანიშნული ფაბრიკის ახალი დირექტორი დ. დიასამიძე საქმის მცოდნე და ენერგიული კაცი აღმოჩნდა. მისი უშუალო მოთხოვნითა და ხელმძღვანელობით წარმოება გაფართოვდა. ამ წელს აშენდა ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, მუშათა სასადილო, საკვებშემამზადებელი და ინდაურის სასაკლაო საამქროები, ბატარიული საფრინველე, ბევრი სხვა შენობა-ნაგებობა. გალამაზდა და კეთილმოეწყო ფაბრიკის შემოგარენი. ასე რომ, საწარმო მოღონიერდა, როგორც იტყვიან, წელში გაიმართა.

იმავე 1975 წელს სახელმწიფოს თითქმის ორჯერ მეტი ინდაურის ხორცი მიეყიდა, ვიდრე არსებობის ორი წლის მანძილზე (2.833 ცენტნერი). გაორკეცდა სადედე გუნდის რაოდენობა, აწარმოეს 309 ათასი ცალი კვერცხი, თითოეულ ფრთა ინდაურზე — 84,7 ცალი კვერცხი. კარგად ნასუქი ინდაურის ხორცი დღესასწაულის დღეებში არ მოჰკლებია თბილისის, რუსთავის და სხვა ახლომდებარე ქალაქების მშრომელებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფაბრიკა საკავშირო დათვალიერების ობიექტთა სიაში შეიტანეს.

ამ დროს მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. არსებობის მესამე წლისთავზე, სწორედ მაშინ, როცა ახალგაზრდა ფაბრიკა რენტაბელობის გზას დაადგა, გააუქმეს და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას შეუერთეს.

ვის მოუვიდა აზრად ამ ორი ფაბრიკის გაერთიანება?

მაშინდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1976 წლის 9 იანვრის ბრძანების ტექსტი შეკოწიწებული და ნაძალადევია. მასში აშკარად ჩანს „ზემოდან“ ზეგავლენა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ბრძანებას მინისტრი კი არა, მისი ერთ-ერთი მოადგილე აწერს ხელს. ჩანს, დაინტერესებულ პირს დიდი ავტორიტეტი ჰქონია რესპუბლიკის ხელმძღვანელებში, სხვა აზრი ძნელია დაგებადოს. თორემ სამ მილიონ მანეთზე მეტად ღირებული ესოდენ საჭირო დიდი საწარმოს ასე ადვილად განადგურება იოლი როდია. ისიც აღსანიშნავია, რომ მეინდაურეობის ფაბრიკა სამი წლის დამოუკიდებლად არსებობის დროს ნოლზე იგეგმებოდა, ე. ი. არც მოგებით და არც ზარალით არ ფიგურირებდა. 1976 წლის იანვრიდან 230 ათასი მანეთი ზარალით დაიგეგმა(!). ფაბრიკა შემდგომ წლებში თანდათანობით გაპარტახდა და განადგურდა. ასე მოისპო ინდაურიც და მისი ხორცის წარმოებაც, და დღეს ფაბრიკის არემარეში ამ მეტად საჭირო ფრინველის ერთი ეგზემპლარიც არ დადის.

რა შედეგი მოგვცა მეინდაურეობის დიდი კომპლექსის მშენებლობამ?

რესპუბლიკის მეფრინველეობა რომ დეგრადაციის გზაზეა დამდგარი, ნათლად ჩანს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. დედაქალაქში კი არა, თვით სოფლებშიც ენატრებათ ფრინველის ხორცი და კვერცხი. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მეცხოველეობის არც ერთ დარგს არ მიუღია იმდენი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, რამდენიც მეფრინველეობაშია დახარჯული. ხაზგასმით უნდა ითქვას, მეფრინველეობის დარგი, უწინარესად მეინდაურეობა უკანასკნელ წლებში სტაბილურად მიექანება განადგურება-გადაშენებისაკენ. არადა, როგორც ვთქვით, ინდაური ხორცის წარმოების დიდი რეზერვია, იგი ზრდის სიჩქარით და წონით დიდად აღემატება ქათმის, ბატის და იხვის შესაძლებლობებს.

ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არავის ეპატიება. ამას გვაფიქრებინებს 1990 წლის 15 ივნისს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის გაყოფა ორ საწარმოდ. გამოყოფილს ეწოდა ნორიოს მეხორცეობის მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკა და არა ისევ მისი ძველი სახელი — მეინდაურეობის ფაბრიკა. რა არის ეს, უვიცობა, უპასუხისმგებლობა თუ ორივე ერთად?

საქართველოში მეინდაურეობის დარგში დაშვებული დანაშაულებრივი მოქმედების გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს ნორიოს მეინდაურეობის ფაბრიკა ინდაურის წარმოების გაუქმებამდე არსებული ყველა პირობებით. საკითხის დადებითად გადაწყვეტა დასაჩქარებელია და მისი კვლავ გაჭიანურება არ გვეპატიება.

დურმიშხან დიასამიძე, ნორიოს მეინდაურეობის ფაბრიკის ყოფილი დირექტორი: — იმ განუკითხაობის ჟამს, რომელიც კომუნისტური წყობის დრო არსებობდა, აღმასვლით მიმავალი პროგრესული ფაბრიკა გააუქმეს. დარგის აღდგენა-განვითარების საკითხი რესპუბლიკის წინა ხელმძღვანელობას არ განუხილავს და შესაბამისი გადაწყვეტილებები არ მიუღია, თუმცა საკითხის გაცნობისას წამოყენებულ წინადადებებს აღფრთოვანებით იწონებდნენ, რომელიც საბოლოოდ „საქფრინველმრეწვში“ იყრიდა თავს, იქ კი... იყინებოდა.

ჩემი აზრით, მეინდაურეობის ფაბრიკის აღდგენით შესაძლებელი იქნება ფაბრიკამ პირველსავე წელს აწარმოოს 180-200 ტონამდე ინდაურის ხორცი, მომდევნო წელს კი 300-350 ტონა. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება კომბინირებული საკვების უკმარისობა, მაშინ მუშაობა უნდა წარიმართოს მხოლოდ 6.000 ფრთა ინდაურის სადედე გუნდის შესაქმნელად, რომლის არსებობას დასჭირდება მცირე რაოდენობის საკვები. წარმოებული კვერცხიდან ინკუბატორებში გამოჩეკილი ერთი დღის ასაკის 150 ათასი ფრთა ჭუკი რესპუბლიკის მოსახლეობას მიეყიდება გამოსაზრდელად. ამით ოჯახის მოთხოვნილება დაკმაყოფილდება ხორცით და მწარმოებელი ნამეტს ბაზარში გაყიდის, ფაბრიკა კი დამატებით მიიღებს ათიათასობით მანეთ მოგებას.

* * *

ბატონ დურმიშხან დიასამიძის ნათქვამს და თვით ამ წერილსაც ასეთ დასკვნას გავუკეთებთ: დროა დავაჭეროთ თავი, რომ ჩვენს გაფუჭებულ საქმეს ჩვენვე უნდა მივხედოთ. დღეს ათასგვარად გვიჭირს, ჩვენს ზვალინდელ დღეს გარანტირებული ეკონომიკური ძლიერება სჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ამერიკელი ექსპერტები საქართველოში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ მიიღო ჩვენს ქვეყანაში მყოფი ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს „ჯორჯიენ დეველოპმენ კორპორეიშნს“ არაკომერციულ ორგანიზაციას. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა იმ მიზნით, რომ დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

თენგიზ სიგუამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს იმის გამო, რომ მზად არიან დაეხმარონ საქართველოს მისთვის ესოდენ ძნელ პერიოდში. აღნიშნა, რომ ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში განსაკუთრებით რთულია, რასაც აღრმავებს ერთობ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა. მან სტუმრებს გააცნო ის ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება ჩვენში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ელიზაბეტ ჰასკელმა ილაპარაკა კორპორაციის მიზნებსა და ამოცანებზე, აზრი გაუზიარა დამსწრეთ საქართველოში არსებული რესურსების გამოყენების გზებზე.

სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ, მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამეურნეო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ იქნა დაძლეული ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის შენარჩუნების ცდები. ცალკეულ დარგებში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელიც ახალი ფორმით — კონცერნების, ასოციაციების, გაერთიანებების და ა. შ. სახით ფაქტობრივად ძველი შუალედური მმართველობითი რგოლების ფუნქციების მატარებლები არიან და კვლავ რჩებიან ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში მონოპოლიურ სტრუქტურებად. მიმოქცევის სფეროში კვლავ ფუნქციონირებენ ამგვარი სტრუქტურები. ყოველივე ეს ზღუდავს პირველადი სამეურნეო ერთეულების ეკონომიკურ თავისუფლებას, აფერხებს მათ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებას და ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, დეპარტამენტებსა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაავალა:

— მკაცრად დაიცვან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის მოთხოვნები;

— ერთი კვირის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე შექმნილი კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და მიიღონ გადაწყვეტილებანი მათი დაშლის, დაწვრილერთეულების ან გაუქმების თაობაზე მეურნეობის დეცენტრალიზაციის, კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის დემონოპოლიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ აღნიშნული სახის ასოციაციებიდან, კონცერნებიდან და გაერთიანებებიდან სახელმწიფო საწარმოთა თავისუფალი გასვლა და არ დაუშვან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებიდან საწარმოთა თავისუფალი გასვლის უფლების ხელოვნური შეზღუდვა.

სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე კონცერნების, ასოციაციებისა და სხვა სამეურნეო გაერთიანებათა შექმნისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული მათში საწარმოთა შესვლის ნებაყოფლობის პრინციპი, ამგვარ გაერთიანებათა შექმნის ყველა პროექტი შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ანტიმონოპოლიური ექსპერტიზის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს და ორგანიზაციებს (მათ შორის ვაჭრობისა და მომსახურების სფეროთა ობიექტებს), რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, უფლება მიეცეთ კოლექტივების გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად და ნებაყოფლობით გავიდნენ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებათა (კონცერნი, ასოციაცია, სავაჭრო და სხვა გაერთიანება და ა. შ.) შემადგენლობიდან.

სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი სამეურნეო ერთეულები მოვალენი არიან გატარდნენ რეგისტრაციაში შესაბამის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით — „სახელმწიფო საწარმო“.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა გომელაური,
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი

კერძო სკოლა თუ კომერციული სასწავლებელი?

წერილი, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ, კერძო ეროვნული სკოლის კონცეფციის შექმნის საკითხს ეხება

ტერმინებით დავიწყოთ. პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტერმინები — „კომერციული სასწავლებელი“, „კერძო სკოლა“, „ფასიანი სასწავლებელი“ და სხვა, ხშირად სწორად არ გამოიყენება ან მათი აღრევა ხდება.

ჩვენში ძირითადად ორი კატეგორიის სასწავლებლებია, სადაც საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, მოსწავლეები თუ სტუდენტები სწავლობენ ქირის გადახდით. პირველი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებია, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებებისგან დამოუკიდებლად არსებობს. მეორე კატეგორია კი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან ჩამოყალიბებული ფასიანი სწავლების განყოფილებებია.

პირველი კატეგორიის სასწავლებლების მიმართ მართებული იქნება ვიხმაროთ ტერმინი „კერძო“ სკოლა“, ვინაიდან იგი ზუსტად გამოხატავს ამ ტიპის სკოლების როგორც ორგანიზაციულ, ასევე დაფინანსების სტრუქტურას. ვფიქრობ, საჭიროა, შესწორდეს ამ თვალსაზრისით ფასიანი სწავლების დროებითი დებულებაც, ვინაიდან სახელმწიფო სკოლებთან არსებული ფასიანი სწავლების განყოფილებებიც და კერძო პირის თუ ცალკეული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების მიერ შექმნილი სკოლები არ იქნება სწორი ერთი ცნებით გაერთიანდეს.

სასწავლებლების მეორე კატეგორიას, ვფიქრობ, ზუსტად გამოხატავს ტერმინი — „ფასიანი სწავლების განყოფილება“, რომელიც შეიქმნა უზენაესი საბჭოს დეპუტატის ბატონ პარმენ მარგველაშვილის წინადადებით სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებთან.

ამ ბოლო დროს პრესაში გაჩნდა კიდევ სრულიად მცდარი ტერმინი — „კომერციული სასწავლებელი“, რომელიც ყველა ქვეყანაში გამოიყენება სავაჭრო ან ბიზნესის სკოლების აღსანიშნავად, გამოხატავს ამ სკოლების შინაარსს და არა დაფინანსებისა და ორგანიზაციულ სტრუქტურას, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ამრიგად, სადღეისოდ საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სახელმწიფო სკოლის პარალელურად ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის კერძო სკოლა (საბავშვო ბაღები, ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯი, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და სხვა) და სახელმწიფო უმაღლესი სკოლების ფასიანი სწავლების განყოფილებები. ამ ტერმინების დაცვას და დამკვიდრებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

• • •

საზოგადოების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მოითხოვს აიკრძალოს ფასიანი სწავლების ყველა ფორმა. ადრეც აღინიშნა, რომ მათი პოზიცია ემყარება იმის შიშს, რომ არ მოხდეს სოციალური დაპირისპირება სწავლების სფეროში, არ შევქმნათ უნებლიე ცენზი, ქონებრივი ბარიერები. ანტაგონისტურად არ განვაწყოთ მოქალაქეთა „შეძლებული“ და „ხელმოკლე“ ფენები. ამგვარი შეხედულების არსებობა ჩვენში სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. ათწლეულების მანძილზე საზოგადოების ფართო ფენებში ინერგებოდა საყოველთაო ნიველირების აბსურდული, უტოპიური თეორია, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად ადამიანთა სოციალური გათანაბრება იყო მიჩნეული. საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე გაიგო ამ გათანაბრების დანაშაულებრივი არსი, დანარჩენიც თანდათანობით დარწმუნდება. კერძო სკოლით, ცხადია, ყველა თანაბრად ვერ ისარგებლებს. მაგრამ, განა საზოგადოების სხვა მრავალი სიკეთით ყველა თანაბრად სარგებლობს?

საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ეშინია არ მოხდეს სოციალური დაპირისპირება განათლების სფეროში, გვინდა ვუთხრათ, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც ცხოვრების დონე ძალზე მაღალია, ადამიანები სხვადასხვა ეკონომიურ ფენას განეკუთვნებიან, მაგრამ ეს არ იწვევს ანტაგონიზმს მათ შორის. პირიქით, ცხოვრების ამგვარი წესი ადამიანებში იწვევს ინიციატივას, შრომისა და მოქმედების მოტივაციას, შემოქმედების მოთხოვნილებას უკეთესი პირადი ეკონომიური მდგომარეობის შექმნისთვის, რაც საბოლოო ჯამში ამაღლებს საზოგადოების ცხოვრების დონეს.

ამერიკის კერძო სკოლებში დღესაც რჩება სწავლის მაღალი ქირა, რაც ქმნის კონტრასტს სახელმწიფო სკოლებთან შედარებით. თუ სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ზოგ კოლეჯში სწავლის ქირა დაახლოებით 60, 70, 400 დოლარია, კერძო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ეს თანხა 5000, 3000, 2000 დოლარს აღწევს. ეს კონტრასტი განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა საქმე ეხება ძველ, ძალზე ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც ამერიკაში თავის დროზე კერძო პირებმა ან საეკლესიო ორგანიზაციებმა დააარსეს. ძველად, როცა ისინი შეიქმნა, აქ განათლების მიღება შეეძლო მხოლოდ შეძლებული ოჯახის შვილებს. ამჟამად ბევრი, ძალზე მეირადღირებული, პრესტიჟული სასწავლებლის კარი ღიაა ყველა სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდისთვის, მიუხედავად მისი მატერიალური მდგომარეობისა. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან, სწავლის ქირა დღესაც საკმაოდ დიდია, რაც სასწავლებელს საშუალებას აძლევს დაფაროს ღარიბ სტუდენტებზე გაწეული ხარჯები. ამერიკის ისეთი პრივილეგირებული კერძო სკოლები, როგორიცაა ჰარვარდისა და პრინსტონის უნივერსიტეტები, ბოსტონის ინსტიტუტი, ჯეფერსონის და დარსტმუტის კოლეჯები და სხვანი, სტუდენტების ნახევარს ფულითაც კი ეხმარებიან.

ვფიქრობთ, თუ ჩვენში კერძო სკოლას თავისუფალი განვითარების მეტ გასაქანს მივცემთ, ქართველი კაცის უდავო ნიჭისა და მუყაითობის შედეგად, ჩვენშიც შეიქმნება ისეთი პრესტიჟული და ჰუმანური სოციალურ მოდელზე აგებული სკოლები, როგორიცაა ზემოთ დასახელებული სასწავლებლები, და ისეთივე დადებით გავლენას მოახდენენ ერის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, როგორც ზემოთ დასახელებული სკოლები. გარკვეული ხნის შემდეგ, დღეს შექმნილ კერძო სკოლებს შორის საუკეთესონი ფინანსურად მომძლავრდებიან, განიმტკიცებენ მატერიალურ ბაზას, მიიზიდავენ მაღალკვალიფიციურ კადრებს და რეალურ კონკურენციას გაუწევენ სახელმწიფო სკოლას, რითაც საზოგადოება მხოლოდ მოიგებს. მომავალი გვიჩვენებს, რომელი სკოლა გამოიჩენს ამ მხრივ თავს.

• • •

დრამატიზება არ არის საჭირო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი განათლების სისტემა კრიზისს განიცდის. სკოლების ქსელისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის სისუსტე, მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრებისა და ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა (მიწისძვრისა და პოლიტიკური ბატალიების შედეგად სურათი უფრო დამძიმდა) და სხვათა გამო განათლების კრიზისი მკვეთრად გამოხატულია და არა ნაკლებ მწვავეა, ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი.

და ეს იმ ისტორიულ ფონზე ხდება, როდესაც ჩვენს განათლების კერებს მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებითა და ცნობილი სპეციალისტების (ფ. კუმბსი, ლ. კერეჩი, მ. ვუდჰოლი) გამოკვლევებით ვიცით, რომ განათლების სფეროს კონსერვატული ბუნების გამო, მისი კრიზისის დაძლევა გაცილებით ნელი ტემპით და რთული გზებით მიმდინარეობს, ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისებისა.

დღესდღეობით, ჩვენში კრიზისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა მოსახლეობის ფართო მასების სწრაფვა განათლებისაკენ და სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის გამოც იგი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

ვერ შესძლო ეს ჩვენმა ადრინდელმა მთავრობამ, ვერც ახლანდელი გასწვდება. ვერ გააკეთა ეს მსოფლიოს ვერც ერთმა დემოკრატიულმა მთავრობამ. ასიგნებათა გაუთავებელი ზრდით სკოლას ვერ ეშველება. განათლების მიზნებისათვის გაცემულ მზარდ თანხებთან ერთად იზრდება მისი მზარდი მოთხოვნილება განათლებაზე — სკოლებზე, მასწავლებელთა კვალიფიციურ კადრებზე, სასწავლო ტექნიკაზე და სხვ.

კრიზისისგან თავის დაღწევად ცივილიზებულ ქვეყნებში ეძებენ სხვა დამატებით წყაროებს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი წყაროა კერძო სკოლა, რომელშიც მოსახლეობის ფართო ფენები თავისი სურვილით დებენ პირად სახსრებს. სამაგიეროდ, მოსახლეობის ეს ნაწილი ამ სკოლებში იღებს ისეთ განათლებას, როგორიც მას სურს.

ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის კერძო სკოლების საბჭოები და გაერთიანებები, რომლებშიც მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლებიც შედიან, თვითონ განსაზღვრავენ სწავლების შინაარსსა და პედაგოგიკურ კონცეფციას და, შესაბამისად, სწავლების მეთოდიკას, ფორმებს, მოსწავლეთა და სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების სისტემას და სხვა.

ვფიქრობ, კერძო სკოლა საქართველოშიც უნდა იქცეს მნიშვნელოვან დამატებით წყაროდ სახელმწიფოსა და საზოგადოების ხელში განათლების კრიზისის დასაძლევად, განათლების ეროვნული სისტემის ასაღორძინებლად, ჩვენი განათლების სისტემის საერთაშორისო დონეზე ასაყვანად.

• • •

დღეს, ყველაფერთან ერთად, ცოდნის დევალვაციის პროცესიც საკმაოდ ძლიერია. ყველა ტიპის სასწავლებლების არსებობის აზრი და არსიც უნდა იყოს არა „დიპლომომანიის“ ამბიციური მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ სრულფასოვანი ცოდნის მიცემა.

კერძო უმაღლესი თუ საშუალო სკოლის მფლობელი კონტიგენტის მიზიდვის მიზნით, შეეცდება სწავლების პროცესის ოპტიმიზაციას, რაც, ცხადია, სწავლების მაღალი ტექნოლოგიითა და მაღალკვალიფიციური პროფესურით იქნება შესაძლებელი, კერძო სკოლის მფლობელი თავის სკოლაში უუნარო ლექტორსა და მასწავლებელს არ მიიწვევს სამუშაოდ, და ასე თანდათანობით ჩვენთანაც დაედება ფასი ცოდნას, ნიჭსა და პროფესიონალიზმს, საზოგადოებაც გადასინჯავს შეხედულებას შრომის სოციალურ ღირებულებაზე, გაჯანსაღდება ფსიქოლოგიური კლიმატი; ცალკეული, ჭეშმარიტად მაღალი დონის სკოლები, მათ მიერ აღზრდილი მაღალკვალიფიციური კადრების წყალობით მოიპოვებენ საზოგადოების მხარდაჭერასა და პატივისცემას, იქცევიან პრესტიჟულ სასწავლებლებად. საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ჩვენი წარმოება კარს უფრო მეტი ხალისით სწორედ ამ ტიპის სკოლადამთავრებულებს გაუღებს. საკითხის სიცხადისათვის ერთსაც ვიტყვით, დღეს ამერიკაში არავინ ხდის სადავოდ, რომ უმჯობესია დაამთავრო თუნდაც საშუალო დიპლომით იელი, პრინსტონი ან ჰარვარდი, ვიდრე გქონდეს უმაღლესი სამეცნიერო ჯილდოები ნაკლებად პრესტიჟული სამეცნიერო დაწესებულებებისა: ამ პრესტიჟული სასწავლებლების დიპლომების მფლობელთა წინაშე იხსნება ყველაზე მაღალი დონის დაწესებულებებისა თუ ფირმების კარი.

ვფიქრობ, დრო და ჩვენი კონსოლიდაციაა საჭირო, იმისთვის, რომ საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ ჩვენშიც მოიკიდოს ფეხი. კერძო სკოლამ აქაც უნდა თქვას თავისი სიტყვა და ხელი შეუწყოს განათლების სფეროში ეთიკური კლიმატის გაუმჯობესებას.

• • •

კერძო სკოლების დიდმა ნაწილმა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებში დაიდო ბინა. იმ სახელმწიფო სკოლებს, რომელთაც სათანადო ბაზა აქვთ ამისათვის და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ხელი არ შეეშლებათ კლასგარეშე მუშაობაში, ალბათ, შეუძლიათ სკოლის შენობის გარკვეული ნაწილი კერძო სკოლას დაუთმონ, მაგრამ თუ ეს ხდება ძირითადი სკოლის კლასგარეშე მუშაობის ჩაშლის ხარჯზე (რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია), ვფიქრობ, დაუშვებელია.

და საერთოდ, უმჯობესი იქნება ამიერიდან კერძო უმაღლესი სკოლის გახსნის ნებართვა გაიცეს მხოლოდ შესაბამისი ბაზის არსებობის შემთხვევაში და არა ისე, როგორც ეს ამჟამად ხდება.

• • •

არის კიდევ ერთი, დღევანდელი კრიზისული ვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელსაც, ჩემი აზრით, იკისრებს კერძო სკოლა. ეს არის ექსპერიმენტული ფუნქცია. განვითარებულმა ქვეყნებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს ამ დარგში. კერძო ექსპერიმენტული სკოლების კლასიკური მაგალითებია ინგლისში ჯერ კიდევ 1889 წელს დაარსებული „პროგრესული სკოლები“, ხოლო ამერიკაში 1889 წ. ფრ. ადლერის მიერ დაარსებული „ეთიკური კულტურის სკოლები“.

ვინაიდან ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში ყველა ტიპის კერძო სკოლას მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება, შეზღუდული არ არის სახელმწიფოს მხრივ მკაცრი რეგლამენტირებით, ამასთან, სახელმწიფო სკოლებთან შედარებით ეკონომიკურად უფრო ლონივრები არიან და სისტემატური პედაგოგიკური ექსპერიმენტების საშუალება აქვთ. ტარდება გაბედული ექსპერიმენტები, იბადება ახალი იდეები, პედაგოგიკური კონცეფციები, იქმნება ალტერნატიული სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, ეს სკოლები წარმოადგენენ პროგრესული ინოვაციების ბაზას, მათი მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები შემდეგ ინერგება (ხშირად — გაყიდვის გზით) სახელმწიფო სკოლებში. ცხადია, ეს სავალდებულო არ არის, ყოველი სასწავლო ოლქი, თუ მასში შემავალი სკოლა თვითონ ირჩევს მისაღებ კონცეფციას ან ცალკეულ პედაგოგიურ იდეას და ნერგავს პრაქტიკაში, სწორედ ამითაც არის გამოწვეული, რომ განვითარებულ ქვეყნებში სკოლის ტიპების, სწავლების მეთოდების, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და სხვა საკითხების გაგებაში დიდი სხვადასხვაობაა. მათი აზრით, რაც მეტი მრავალფეროვნებაა, მით უკეთესია, მით უფრო მაღალია მეცნიერული დონე. ამ აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ — მონოვარიანტული სკოლა რაც არის, კარგად ვიცით.

დღეს ჩვენს სკოლას განსაკუთრებით სჭირდება გაბედული პედაგოგიკური იდეები, პროგრესული ინოვაციები, სისტემატური ექსპერიმენტები, რასაც საბჭოთა განათლების სისტემა ხშირად შეგნებულად აბრკოლებდა.

აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ავტორი არ მიიჩნევს უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ წერილში წარმოდგენილი კერძო ეროვნული სკოლის განვითარების ძირითადი ორიენტირები ძალაში დარჩება როგორც თანამედროვე, ასევე უახლოეს პერიოდშიც.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

იტარ-ტასის სააგენტოს ცნობით თათრეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის 61 პროცენტზე მეტმა ხმა მისცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. წინააღმდეგი იყო მოსახლეობის 37 პროცენტი. მთლიანად რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 2.182 ათასმა ადამიანმა, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის 81,6 პროცენტია.

რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ ტრადიციული ქადაგების დროს მოუწოდა შეეწყვიტათ კონფლიქტი მთიან ყარაბაღში. მისი თქმით რეგიონის ხელისუფლებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა საჭიროა განაგრძონ მტკიცე ძალისხმევა, რათა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის გაიმართოს ნამდვილი დიალოგი.

მოსკოვს წარგზავნილმა რუმინეთის ელჩმა პროტესტი გამოთქვა მოსკოვის ტელევიზიის ცნობის გამო იმის თაობაზე, თითქოს დნესტრისპირეთში მოლდოველთა მხარეზე რუმინელი ვოლონტიორები იბრძოდნენ. ემიგრაციაში მყოფმა რუმინეთის მეფე მიხაიმ განაცხადა, მოლდოვეთის ეროვნული უმცირესობა რესპუბლიკის ერთიანობის მთავარი მოწინააღმდეგე არისო.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ლტოლვილთა ბიუროს დირექტორმა ლაიმენმა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ამჟამად თანამედროვე მსოფლიოში 16 მილიონი ლტოლვილია. პაკისტანში და ირანში ხუთი მილიონი ავღანელი ცხოვრობს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაფანტულია 2,5 მილიონი პალესტინელი არაბი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში და პირველ რიგში კამბოჯაში 720 ათასი ლტოლვილია. ლაიმენის თქმით ყარაბაღის კონფლიქტის გამო 0,5 მილიონი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

სომხეთის სახელმწიფო მინისტრმა გრიგოლ არეშიანმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობა აპირებს რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას. მისი თქმით სომხეთი სატრანსპორტო ბლოკადაშია. 12 მარტიდან რესპუბლიკას აზერბაიჯანის რკინიგზით არ მიუღია არც ერთი ვაგონი სახალხო მეურნეობის ტვირთი. კვლავინდებურად დაკეტილია ამიერკავკასიის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთი. ამას ემატება თურქეთის ტერიტორიაზე სომხეთისათვის ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის შეჩერება. დღეისათვის სომხეთში სასიცოცხლო რესურსების მხოლოდ ორი კვირის მარაგია, დასძინა გრიგოლ არეშიანმა.

უკრაინის დედაქალაქ კიევში დასრულდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელსაც უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი თავმჯდომარეობდა. შეხვედრის დროს განიხილეს 17 საკითხი, რომელთა უმრავლესობა შეიარაღების პრობლემებს ეხებოდა. უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის აზრით კიევის შეხვედრას განსაკუთრებული შედეგები არ მოუცია. მან კვლავ აღნიშნა, რომ უკრაინიდან ბირთვული იარაღის გატანა და განადგურება საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობით უნდა განხორციელდესო.

ამერიკის ადმინისტრაციის კემპ-დევიდის რეზიდენციაში დასრულდა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის ორდღიანი მოლაპარაკება. შეხვედრის დროს ორმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მრავალი საკითხი განიხილა, რომელთაგან მთავარი იყო, თუ რა სახის დახმარება აღმოუჩინონ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, რათა დემოკრატიზაციის პროცესმა ამ ქვეყნებში შეუქცევადი ხასიათი მიიღოს.

რიხტერის სკალით 4,9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა აღინიშნა კვირას თურქეთის დასავლეთ რაიონებში, იუწყება როიტერის სააგენტო სტამბულიდან. კანდილის ობსერვატორიის სეისმოლოგთა მონაცემებით, მისი ეპიცენტრი მდებარეობდა ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრში — ქალაქ ბურსაში, სტამბოლიდან 250 კილომეტრის დაშორებით. მიწის ქერქის რყევა იგრძნობოდა აგრეთვე სტამბოლში, ბალიკესირში, იზმირში, ესკიშეჰირში და ჩანაკალეში. ცნობები მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ არ არის.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის რეკვიზიტები

„იბერიაბანკი“ საქართველოს ეროვნული ბანკი
საკორესპონდენტო ანგარიში 700161322, მფო 522771
დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი

г. Тбилиси «Ибернабанк», Грузинский Национальный Банк
р/с 700161322 МФО 522771
Фонд Демократии и Возрождения
Валютный счет:
г. Москва Международный Банк Экономического Сотрудничества «Ибернабанк»
кор. счет в долларах США 090129201
в немецких марках 090129204

Credit Lyonnais, New York
01—00782—001—00 International Bank for Economic Co-operation, Moscow
090129201 JSU Iberiabank, Tbilisi
Democracy and Restoration Fond

Deutsche Bank A. G., Frankfurt/Main
9498387 International Bank for Economic Co-operation, Moskow
090129204 JSU Iberiabank, Tbilisi
Democracy and Restoration Fond

USD

Banka Commerciale Italiana, Milan
466051004
International Bank for Economic Co-operation, Moskow
090129201 JSU Iberiabank, Tbilisi

FRF

Credit Lyonnais S. A., Paris
049502 j
International Bank for Economic Co-operation, Moskow
090129201 JSU Iberiabank, Tbilisi

GBP

National Westminster Bank PLC
Overseas Branch, London 04538358
International Bank for Economic Co-operation, Moskow
090129201 JSU Iberiabank, Tbilisi

ბაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „ბაზაზი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბაზაზს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „ბაზაზი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

ამ დღეების სარედაქციო ფოსტიდან: სპექტრი

მიზანი: მრავალპარტიული პარლამენტური მმართველობა

ვახტანგ ნანიტაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როგორი მმართველობა ავირჩიოთ? — ეს კითხვა დღეს ბევრს გვაწუხებს. ჩემი ღრმა რწმენით პარლამენტურ-რესპუბლიკური იქნება თუ კონსტიტუციურ-მონარქიული — მხოლოდ პარლამენტი უნდა იყოს ქვეყნის გამგებელი. ოფიციალური წრეები და ცალკეული საზოგადო მოღვაწენი ამჟამად გამოდიან პრეზიდენტის ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვენ პარლამენტური რესპუბლიკის მმართველობის შემოღებას. პრეზიდენტის თანამდებობა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორც წესი, არსებობს, მაგრამ მისი რწმუნებები და უფლებები სხვადასხვანაირია. პრეზიდენტი ითვლება ერის და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ და სახელმწიფოს მეთაურად. მაგალითად, პარლამენტურმა რესპუბლიკამ საფრანგეთში ვერ გაამართლა. 1946 წლიდან 1958 წლამდე, ე. ი. მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში 16 მთავრობა გამოიცვალა, ამასთანავე მთავრობის კრიზისები გაჭიანურებულ ხასიათს იღებდა. ეს არასტაბილური ვითარება გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანი წვრილი პარტიების არსებობით. ფრანგ ხალხს მოსწყინდა მთავრობების ხშირი ცვლა, ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარება, გადაუწყვეტელი საშინაო და საგარეო პრობლემების არსებობა და ამიტომ, 1958 წელს დათანხმდა ახალი, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის შემოღებაზე, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა პარლამენტის და მთავრობის უფლებები და მათ ხარჯზე გაზარდა პრეზიდენტის რწმუნებები. ამის შემდეგ, დე გოლის დიდი ავტორიტეტის წყალობით საფრანგეთში შედარებით სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ნახტომისებურად წარიმართა. ამიტომ დღეისათვის ნაჩქარევად და გაუმართლებლად მიმაჩნია ასეთი მმართველობის ჩვენთან დაუყონებლივ დანერგვა, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პარტიებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება ძალზე უარყოფითია. მათ, განსაკუთრებით ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, თავისი საქმიანობით საგრძნობლად დაკარგეს გავლენა ხალხში, რაც მოპოვებული ჰქონდათ ეროვნული მოძრაობის წლებში, ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მათ რიგებში, როგორც ამას წინათ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ რაზმაძემ აღნიშნა, ბევრი შემთხვევითი და მიტმასნილი პირი აღმოჩნდა. ცივილიზებულ ქვეყნებში კი სწორედ პარტიები უქმნიან დამყარებულ რეჟიმს სტაბილურობას, ითვლებიან პარლამენტის ფუნქციებისა და მართლწესრიგის გამავრცელებლად პარლამენტს გარეთ.

1988-1991 წლებში საქართველოში მრავალი პარტია ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს პარტიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას. მრავალრიცხოვანი, წვრილი პარტიების არსებობის პირობებში ეს შეუძლებელი ხდება. მსოფლიო პრაქტიკა ამას ადასტურებს. აშშ-სა და ინგლისში დიდი ხანია არსებობს კარგად ორგანიზებული და ეფექტიანად მოქმედი, ორპარტიული, სტაბილური მმართველობის სისტემები: აშშ-ში — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, ინგლისში — კონსერვატორული და ლეიბორისტული პარტიები. ორპარტიული მმართველობის სისტემა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და ეროვნული სტაბილურობის ერთგვარი გარანტიაც კი არის, ამას აშშ-ს მაგალითი ადასტურებს.

ურიგო არ იქნება, თუ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო მოწყობის პრაქტიკას გავიხსენებთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესი ითვლება ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ, ხოლო პრეზიდენტი ფაქტიურად ამ ორგანოს ნება-სურვილის შემსრულებელია. ინგლისში კონსტიტუციური მონარქია არსებობს, მეფის სიმბოლური და პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის ძლიერი ხელისუფლებით. გფრ-ში პარლამენტური რესპუბლიკაა, სადაც მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება თავმოყრილია პარლამენტის (ბუნდესტაგის) ხელში, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება კანცლერის ხელშია; პრეზიდენტის ხელისუფლება კი განისაზღვრება სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებით. სამივე ამ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მთავრობის მეთაურები პარლამენტის მტკიცე კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, რაც გამორიცხავს მთავრობის მეთაურის თვითნებობას. მთავრობის მეთაური მოქმედებს კანონის, კონსტიტუციის, ტრადიციებისა და პარლამენტის გადაწყვეტილებების შესაბამისად. არავითარი გადახრები ამ წესებისა და ტრადიციებისაგან არ დაიშვება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მთავრობის გადაყენება კონსტიტუციური წესების საფუძველზე, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა და ყველა ემორჩილება. მტკიცედ დამკვიდრებული სახელმწიფო მმართველობა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური სტაბილურობა ხელსაყრელ პირობებს უქმნის დემოკრატიის ისეთი ტრადიციების გაფურჩქვნას, როგორიცაა: ადამიანის და პიროვნების თავისუფლება, მოქალაქის ინიციატივისა და საქმიანობის თავისუფლება, ხელშეუხებლობა პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსის გამო, სიტყვის, პრესის, კრების, გაფიცვების თავისუფლება, თავისუფალი სამეურნეო საქმიანობა და ა. შ.

დემოკრატიული მმართველობა დამყარდა ომისაგან და ატომური დაბომბვებისაგან ნანგრევებად ქცეულ და განადგურებულ იაპონიაში, სადაც სახელმწიფოს მეთაურად სიმბოლურად იმპერატორი ითვლება, აღმასრულებელ ხელისუფლებას მეთაურობს — პრემიერ-მინისტრი, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება კი პარლამენტის ხელშია. აქ მრავალპარტიული მმართველობის სისტემაა გამოცხადებული, მაგრამ ქვეყანას უკვე 40 წელზე მეტია თითქმის შეუცვლელად განაგებს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია თავისი ძლიერი ფრაქციებით, რომელთა ლიდერები ხშირად ცვლიან ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში. ფაქტიურად იგი ადრე სხვადასხვა პარტიებისაგან შემდგარი ბლოკია.

სტაბილურად დამკვიდრებული პოლიტიკური მმართველობის სტრუქტურა გახდა ამ სახელმწიფოთა ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი. აქსიომაა, რომ მტკიცე სტაბილური მმართველობის დემოკრატიული სისტემა ხელსაყრელ პირობებს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

თუ ჩვენ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების თუ ჯგუფების გაერთიანება ორ ან მაქსიმუმ სამ ბლოკში. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც სტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, მთავრობა იქმნება მხოლოდ იმ პარტიის წარმომადგენლობისაგან, რომელიც პარლამენტში დეპუტატთა ადგილების უმრავლესობას მიიღებს. ასეთია დემოკრატიის წესი. ამას კი, რატომღაც ჩვენთან უარყოფენ. საქართველოში ამჟამად არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც სხვა პარტიებთან ბლოკის შექმნის გარეშე პარლამენტში დეპუტატთა ადგილების უმრავლესობას მიიღებს და მთავრობას შექმნის. ამიტომ, ჩემი აზრით, საჭირო იქნება ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი პარტიების მიერ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პლატფორმის შემუშავება და ამის საფუძველზე გაერთიანება.

საქართველოს პოლიტიკური წყობა უნდა უპასუხებდეს ევროპულ სტანდარტებს. 70-წლიანმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა არასწორი შეხედულება შექმნა მრავალპარტიული დემოკრატიის შესახებ, რის გამოც არ არსებობს პოლიტიკური კომპრომისისა და დიალოგის კულტურა, რომელიც პირობას შექმნიდა დემოკრატიულად მოაზროვნე პარტიების გაერთიანებისა და დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებისათვის. ასეთი წყობილების დამკვიდრების გარეშე კი ოცნებაც ზედმეტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენს მიღებასა და ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვემუქრება ქვეყნის დაქუცმაცება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა და ჩვენი ტერიტორიის სხვა ქვეყნების მიერ მიტაცება. ცალკეული პროპაგანდისტული შოუ ვერ უშველის საქმეს, ვერ დაამყარებს ქვეყანაში სტაბილურობას. უნდა შევიგნოთ, რომ ძალისმიერი საქმიანობით ქვეყანას დავღუპავთ. საჭიროა ქვეყანაში არსებული ყველა პარტიის წარმომადგენელთა შორის დიალოგის გამართვა ჩვენი მომავალი მთავრობისა და პარლამენტის შექმნის თაობაზე, შეიარაღებულ ბრძოლაზე ერთხელ და სამუდამოდ უარის თქმა, ყველა მრწამსისა და ეროვნების მოქალაქის შერიგება და გათიშული და ურთიერთდაპირისპირებული ხალხისა და ქვეყნის ერთიანობის აღდგენა. ჯერჯერობით კი, ვიდრე ჩვენში პარლამენტური მმართველობის სისტემა შეიქმნებოდეს, რისთვისაც დიდი დროა საჭირო, შეიძლება დროებით გამოგვეყენებინა იუგოსლავიის 1974 წლის კონსტიტუციის არსებული პარლამენტის არჩევის წესი, რომლის საფუძველს წარმოადგენს ე. წ. დელეგატთა სისტემა ცალკეული საწარმოებისა, დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის რაიონებისაგან. ამ დელეგატებს დროებითი დეპუტატების სახით ირჩევდნენ პარლამენტში ამა თუ იმ საკითხის განსახილველად და მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

უნაყოფობის „რეცეპტი"

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს ოპერაციათა ახალი მეთოდი, რომელიც უნაყოფობის განკურნების საშუალებას იძლევა.

— ქალთა და მამაკაცთა უნაყოფობის ერთ-ერთი მიზეზია ვენური სისხლძარღვების გაფართოება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა **გიორგი ბოჭორიშვილმა**. — შევიმუშავეთ სენის დიაგნოსტიკის მეთოდები, გამოვავლინეთ მისი გამომწვევი მიზეზები და წინადადება დავაყენეთ მოხდეს შესაბამისი ოპერაციული ჩარევა.

— **როგორია შედეგები?**

— გამოგონება ამას წინათ დაპატენტდა და ახალი მეთოდიკით გამოვავლინეთ სამასამდე ავადმყოფი, რომლებსაც სისხლძარღვთა პათოლოგია აქვთ. ყოველი მესამე ქალი დედა გახდა. უნაყოფობის სისხლძარღვთა ფორმის პრობლემა გინეკოლოგიისა და უროლოგიის ზღვარზეა. და პაციენტთა ჩივილი, რომლებიც ჩვენთან მოდიან, შესაბამისად, როგორც ერთი, ისე მეორე ხასიათისაა.

— **დაახლოებით რამდენი ქალი და მამაკაცია დაავადებული უნაყოფობის სისხლძარღვთა ფორმით?**

— სტატისტიკით, უნაყოფობის 20 პროცენტი უცნობი წარმოშობისაა. ვფიქრობ, რომ მათგან დაახლოებით ნახევარი მოდის ვენურ უკმარისობაზე.

— **კიდევ სად დაინერგა თქვენი მეთოდი?**

— ირაკლი ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში. მზად ვართ პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ ყველა დაინტერესებულ სამედიცინო დაწესებულებას.

მეტრო გაძვირდა

25 მარტიდან თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის ღირებულება 60 კაპიკი იქნება. ამავე დროს ერთი მგზავრის მომსახურება მეტროპოლიტენის მუშაკებს მანეთი და 17 კაპიკი უჯდებათ. ასე რომ, საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეს სახეობა კვლავინდებურად სახელმწიფოს დოტაციაზე რჩება. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ გივი ლამბაშიძემ.

— **როგორ გადაიხდიან მგზავრები თავიანთი მგზავრობის საფასურს?**

— თითოეული გამშვები ავტომატი მიიღებს ოთხ 15 კაპიკიან ან სამ 20 კაპიკიან მონეტას. ამის შემდეგ ავტომატიკა მგზავრს გაუშვებს ესკალატორისაკენ. აპრილის დამლევისათვის ვაპირებთ შემოვიღოთ სპეციალური გაცვლითი ჟეტონები. შესაბამისად ფულს გადაახურდავებენ ჩვენი მოლარეებიც მეტროპოლიტენის სადგურებში.

სად ვიშოვოთ სიგარეტი?

სად ქრება მწეველი ინდივიდისთვის ეს პირველი საჭიროების, თუნდაც მისი სიცოცხლის შემმოკლებელი, საქონელი?

— ჩვენი საქმე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის თამბაქოს ფაბრიკის „ქართლის" დირექტორმა გრიგოლ ჟორდანიამ, — პროდუქციის გამოშვებაა, ხოლო მას როგორ გაანაწილებს სახელმწიფო ვაჭრობა, ჩვენ არ გვეხება. საკუთარი პრობლემებიც უამრავი გვაქვს. — ყველაფრის შოვნა საკუთარი ძალებით გვიხდება. არ გვყოფნის პაპიროსის ქაღალდი, ფილტრი, ფოლგა. თუ ადრე ორ ცვლად ვმუშაობდით, ახლა ერთ ცვლად ვმუშაობთ. და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ ელექტროენერგია არ გვყოფნის. ამჟამად სიტუაცია ასეთია, დღეში ვუშვებთ ორ მილიონ ცალ ფილტრიან და ხუთ მილიონ უფილტრო სიგარეტს.

მაგრამ რა გამოდის: სიგარეტი თითქოსდა არის, მაღაზიებში კი უმეტესწილად არ ჩანს. ამ დროს კი მარიფათიანი ბიჭები სამმაგად ყიდიან „კოსმოსს", „პოლიოტს" თუ „ასტრას".

პატარა ლიკა გთხოვთ დახმარებას

დეკემბერ-იანვრის მოვლენებმა ბევრი დააზარალა. მათ შორის გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის მკვიდრი პატარა ლიკა ბერიძეც, რომელიც საზღვარგარეთ უნდა წასულიყო სამკურნალოდ. მის სახელზე თბილისის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში გახსნილი იყო ანგარიში 904400808, ბანკი დაიწვა. მასთან ერთად ლიკას სახელზე შემოსული თანხაც და მისი დამადასტურებელი ყველა საბუთიც.

ახლა, როცა ყველაფერი თავიდან თავის კალაპოტს უბრუნდება, გულის მანკით დაავადებული პაციენტისთვის კვლავ შველას ითხოვენ მშობლები. ისინი მიმართავენ საზოგადოებას, იმათ, ვინც თავის დროზე გულმოწყალება გამოიჩინა და აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხა ფული — კიდევ ერთხელ შეწუხდნენ და აცნობონ მათ თანხის რაოდენობა და გადარიცხვის თარიღი შემდეგი მისამართით: გურჯაანის რაიონი, სოფელი მელაანი, აკაკი ბერიძეს.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში ანგარიში ისევ აღდგა.

ნინო მამალაძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის"
და საქინფორმის
საკუთარი კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

იგებს ყოველი მეხუთე!

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება ექსპერიმენტული სავალუტო ლატარია

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოება „დემოგრაფია და ქველმოქმედება" პირველად ჩვენს რესპუბლიკაში მართავს ერთობლივ ექსპერიმენტულ სავალუტო ლატარიას. გათამაშდება ოცი ამერიკული მსუბუქი ავტომანქანა „ფორდ-ფესტივა", აგრეთვე დიდი ფულადი მოგებები ვალუტით — 15.000, 10.000, 2. 500, 1.000, 150, 100 დოლარი და ა. შ.

ლატარიის ბილეთის ღირებულება ორი ამერიკული დოლარია, რომელიც უკვე 16 მარტიდან იყიდება თბილისის, ქუთაისის, თელავის, ბათუმის, ქობულეთის, სარფის და სხვა შემნახველი ბანკების სალაროებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლატარიის ბილეთის შეძენა შეიძლება ნებისმიერი კონვერტირებული ვალუტით შესაბამისი კურსის მიხედვით.

ლატარია გათამაშდება 30 მაისს სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება აგრეთვე მხატვრული პროგრამა. ამ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები იმავე დღეს გაიყიდება.

ალსანიშნავია, რომ ლატარიის ყოველი მეხუთე ბილეთი იგებს, ასე რომ, ჩვენს თანამემამულეებს მოგების დიდი შანსი აქვთ.

— **როგორ დაიბადა ამ ლატარიის გამართვის იდეა და რას მოხმარდება მიღებული მოგება?**

ამ კითხვაზე გვიპასუხებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მექანიზმის სრულყოფის, ფასებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსი ბატონი **გივი კომახიძე**.

— იმის გამო, რომ სახელმწიფოში არ არის ფართო მოხმარების ის ნივთები, რაც მოსახლეობას ასე სჭირდება, — გვითხრა ბატონმა გივიმ — საქართველოს ფულისა და ნივთების ლატარიის ჩატარებაც შეჩერდა.

გადავწყვიტეთ, 1992 წლისათვის გაგვემართა სავალუტო ექსპერიმენტული ლატარია, სადაც გათამაშდებოდა ფულადი მოგებები ვალუტით. მიზანი ის გახლავთ, რომ მიღებული მოგებით სხვა ქვეყნებში შეგვეძინა ფართო მოხმარების საქონელი და შემდგომ, უკვე ტრადიციულად კვლავ ჩვენს მანეთებზე მოგვეწყო ფულისა და ნივთების ლატარია.

ამავე დროს ჩვენთან მოვიდნენ სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოება „დემოგრაფია და ქველმოქმედების" ხელმძღვანელები, რომლებმაც შემოგვთავაზეს გარდა დიდი ფულადი მოგებისა, გათამაშებაში შეგვეტანა 20 იმპორტული მსუბუქი ავტომანქანა. ისინი კისრულობენ შეიძინონ მანქანები აშშ-ში და გათამაშების დღისათვის ჩამოიტანონ თბილისში. ამ საქმეში მათ დახმარებას გაუწევს ამერიკული კომპანია „ელო ენტერპრესის ინკორპორეიშენი", რომელთანაც მათ შესაბამისი კონტრაქტი აქვთ დადებული.

დაიბეჭდა და გამოვიდა ერთი მილიონი ცალი ლატარიის ბილეთი, რომელიც მოსახლეობას შეუძლია შეიძინოს ნაღდ ანგარიშზე. ბილეთების შეძენა გადარიცხვით შეუძლიათ წარმოება-დაწესებულებებს და ასოციაციებს.

ბედნიერი ბილეთის მფლობელს უფლება ენიჭება მოგების მთლიანი თანხა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით გამოიყენოს რესპუბლიკის გარეთ მოგზაურობისას და სხვადასხვა საქმიანობისათვის.

ახლა, რაც შეეხება სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოება „დემოგრაფია და ქველმოქმედებას", რომელიც უკვე 1988 წლიდან არსებობს და მრავალი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული. ლატარიის გათამაშებიდან მიღებული მოგებით თუ რის განხორციელება აქვთ გადაწყვეტილი, ამას გვამცნობს ამ საზოგადოების მენეჯერული გაერთიანების დირექტორი ბატონი **ანზორ მიქაძე**.

— ივრის ხეობის გაყოლებით, დალის მთის მიდამოებში ფაქტობრივად წელიწადში სამი თვე თუა ცხვარ-ძროხითა და მწყემსებით დაკავებული, დანარჩენ დროს ეს მიწები მოცდენილია. არადა, იქ მთელი დასახლება შეიძლება გაშენდეს, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველი უკვე არის, იორზე მოწყობილია თორმეტი კილომეტრი სიგრძისა და ოთხი კილომეტრი სიგანის ტბორი, რომელიც წყლით ივსება და იქ უამრავი თევზია, აშენებულია კაშხალი, სადაც ჰესის ჩადგმა შეიძლება, აქვე არის ქვესადგური და მომავალ დასახლებას მუდმივად ექნება ელექტროდენი. იქ ყველა პირობაა იმისა, რომ დავასახლოთ ჩვენი თანამემამულენი და განვავითაროთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი: მეთევზეობა, მეცხოველეობა, მარცვლეულის და ბაღჩეულის წარმოება.

საზოგადოებას განზრახული აქვს მთავრობას შესთავაზოს წინადადება, რომ ეს ადგილები ათვისებულ იქნეს და ლატარიის შემდეგ მიღებული მოგების ნაწილი ამ ადგილების ალორძინებას მოხმარდეს.

ვფიქრობთ, ეს დიდი მამულიშვილური საქმეა, რასაც უთუოდ ხელშეწყობა და ყურადღება სჭირდება.

მაშ, ასე, 30 მაისს პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გათამაშდება სავალუტო ლატარია. შანსი მოგებისა დიდია. ბედნიერი ბილეთის შეძენას გისურვებთ, მეგობრებო!

ლარისა ხუზულური.

ბენზინი:

ბაჟი, კვოტები, ლიცენზიები

წლევანდელი პირველი კვარტალის ბოლომდე რუსეთიდან საწვავის გამოტანისათვის „საქნავთობპროდუქტების" კონცერნი არ გადაიხდის სახელმწიფო ბაჟს. ხოლო როცა დაიდება მთავრობის დონეზე სავაჭრო შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის, მისი უბაჟო შესყიდვა ამ დოკუმენტის მოქმედების ვადის მანძილზე გაგრძელდება. მაგრამ კვლავინდებურად ძალაში რჩება კვოტები და ლიცენზიები, რაც სათბობის ფასების ზრდასთან ერთად კიდევ მეტად ამწვავებს მის დეფიციტს.

— შარშან, — თქვა „საქნავთობპროდუქტების" კონცერნის თავმჯდომარემ **გერმან მეჭმარიაშვილმა**, — ჩვენი უშუალო ურთიერთკავშირების წყალობით შევძელით დამატებით შემოგვეტანა რესპუბლიკაში, მართალია, კომერციული ფასებით, მოწოდებული ნავთობპროდუქტების მთელი მოცულობის 10 პროცენტზე მეტი საწვავი. წელს კი ჩვენი საწარმოები მოკლებული არიან შესაძლებლობას პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეთ რუსეთის ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებთან რუსეთის სფსრ მთავრობის მხრივ მიწოდებაზე მოქმედი აკრძალვის გამო. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ არც ერთი ეს წარმოება არ გვიგზავნის სათბობს წინასწარ გადაუხდელად, ხოლო შემკვეთებს მარტო შარშან ჩვენი რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ვალი დაედოთ.

— თვის განმავლობაში რესპუბლიკას, — განაგრძო მან, — სჭირდება 500 მილიონამდე მანეთის ბენზინი და დიზელის საწვავი. რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისი საწარმოები ბენზინს არ გვიგზავნიან და გვაძლევენ მხოლოდ მაზუთს 8 ათას მანეთად ერთ ტონას. შედარებისათვის — რუსეთელები გვაძლევენ სამ-ოთხ ათას მანეთად. უახლოეს ხანში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა დაიწყებს ბენზინის წარმოებას, მაგრამ ეს არ არის მდგომარეობიდან გამოსავალი. არის რამდენიმე ურთიერთხელსაყრელი წინადადება უცხოეთის ფირმების მხრივ, რომლებსაც უახლოეს ხანში განვიხილავთ.

თენგიზ ჩხიკვაძე.

სოხუმი

ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი


ВНИМАНИЕ!
НА ТЕРРИТОРИИ АБХАЗИИ
ВРЕМЕННО ВВЕДЕН ОСОБЫЙ РЕЖИМ
ПОВЕДЕНИЯ НАСЕЛЕНИЯ.
С 23 ДО 06 ПЕРЕМЕЩЕНИЕ ГРАЖДАН
ДОПУСКАЕТСЯ ТОЛЬКО ПО ПРОПУСК

ГОРЯЧАЯ ЦЕЛЬ

იმასთან დაკავშირებით, რომ მარტის მეორე ნახევრიდან კრიმინოგენული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება გამწვავდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოღებულია მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს. აკრძალულია მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები, მოწმდება სატრანსპორტო საშუალებები და მოქალაქეები, მიმოსვლა 23-დან 6 საათამდე შეიძლება მხოლოდ სპეციალური საშვით.

განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებით გარკვეულწილად შენელდა დაძაბულობა კრიმინოგენულ ვითარებაში, შესაძლებელი გახდა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ამოღება. მარტო სოხუმში შექმნილია ოთხი სადღეღამისო საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რამდენიმე ოპერატიულ-საძიებო ჯგუფი, რომლებიც ებრძვიან სისხლისსამართლებრივ ელემენტებს.

ირაკლი ჭოხონელიძე
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოზიაშვილი.

რეკლამა რეკლამა რეკლამა

საქართველოს დემოკრატიული კავშირის განცხადება

დამატებით გაცნობებთ, რომ კავშირის შტაბ-ბინის მისამართებია: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. № 25, ტელ. 74-58-68; ტოროშელიძის ქ. № 6, ტელ. 81-41-59, 87-18-07; გოგოლის ქ. № 46, ტელ. 86-41-78.

აფხაზეთის, აჭარის და რეგიონალური ორგანიზაციების მისამართები გამოქვეყნდება ადგილობრივ გაზეთებში.

დემოკრატიული კავშირის სახელით: გიგა ლორთქიფანიძე, გურამ მამულია, აპოლონ სილაგაძე, ირაკლი ანდრიაძე, ავთანდილ მარგიანი, ვახტანგ გოგუაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარზე თემაზე:
„კაპიტალის პრივატიზება:
პრობლემები და გადაჭრის გზები",
რომელიც ჩატარდება ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ქიქოძის (ყოფილი მახარაძის) ქუჩა, 14) ა. წ. 26 მარტს 11 საათზე.

●

1992 წლის 25 მარტს გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია. სესია გაიხსნება სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციის თბილისის ცენტრში, „ოლიმპიის" შენობაში: დავით აღმაშენებლის გამზირი, 73, დღის 14 საათზე.

სეოკ-ის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სეოკ-ის აღმასკომი.

ESM
INTERNATIONAL

ევროპული განათლება და
ევროპული დიპლომი-თბილისში

მენეჯმენტის ევროპული ინსტიტუტების გაერთიანება

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ფუნქციონირებენ
ჟენევაში, ბარსელონაში, ავინიონში, სევილიაში, ათენში.
1992 წლიდან ჩვენ ვხსნით სასწავლებლებს ნიუ-იორკში, სტამბულში, ტოკიოსა და
თბილისში!

ჩვენი დიპლომი აღიარებულია ევროპის მენეჯმენტის უმაღლესი
სასწავლებლების ფედერაციის მიერ და იურიდიული ძალა აქვს ევროპის
თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში.

აბიტურიენტებს, რომელთაც სურთ თბილისში მიიღონ ევროპული
უმაღლესი განათლება და დიპლომი, ვურჩევთ თვალი ადევნონ
ჩვენს სარეკლამო განცხადებებს უახლოეს დღეებში.
ტელ.: 39-16-73

ათი ვარდის ფასად

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲨᲝᲣ ᲓᲐ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲚᲐᲢᲐᲠᲔᲐ „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ" ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ „ᲡᲐᲥᲔᲙᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ" ᲐᲜᲣ „ᲡᲔᲘᲡᲘ" ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ (ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ) ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚ ᲨᲝᲣ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲚᲐᲢᲐᲠᲔᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲐ:

5 ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ანუ ყოველ ორი ათას ბილეთზე ერთი ავტომანქანა, 10 ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ, 10 ᲛᲣᲚᲢᲘ-ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲘ, აგრეთვე მრავალნაირი საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების უცხოური ტექნიკა. ამის გარდა, გელოდებათ შანსი დიდი ფულადი მოგებისა. გათამაშდება ᲮᲣᲗᲘ მოგება - თითოეული ᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ და 50 მოგება - თითოეული ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. და ეს ყოველივე ფეიერვერკულ სანახაობასთან ერთად. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის, კინოს და თეატრის ვარსკვლავები, მოწვეული მსახიობები იუმორისტული ჟანრის ოსტატები. მოეწყობა საზეიმო დათვალიერება საგაზაფხულო მოდებისა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔ-10 ᲘᲒᲔᲑᲡ. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ და დასტკბეთ სანახაობით - დღევანდელ გაუფასურებულ ათას მანეთად ანუ სულ 10 ვარდის ფასად. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

შემოსული თანხიდან კონცერნ „სეისთან" იქმნება უდედმამო ბავშვთა დახმარების ფონდი.



თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია"

აცხადებს მიღებას მოსამზადებელ კურსებზე როგორც ქართულ, ისე რუსულ სექტორზე საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირებისათვის ასაკის მიუხედავად, აგრეთვე საშუალო სკოლების XI კლასების მოსწავლეებისათვის.

კურსებზე აბიტურიენტთა მომზადება ხდება შემდეგ საგნებში:

1) ქართული ენა და ლიტერატურა,
2) საქართველოს ისტორია,
3) უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, თურქული),
4. მათემატიკა.

კურსდამთავრებულები მისაღები გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან უნივერსიტეტ „გეორგიაში" შემდეგ ფაკულტეტებზე (ქართულ და რუსულ სექტორზე):

1) ქართული ენა და ლიტერატურა,
2) ისტორია,
3) ინგლისური ენა,
4) გერმანული ენა,
5) ფრანგული ენა,
6) ესპანური ენა,
7) თურქული ენა,
8) ტექნიკური ფაკულტეტები.

აბიტურიენტებს ვამზადებთ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი პროგრამის მიხედვით; კურსდამთავრებულებს მისაღები გამოცდების ჩაბარება საკუთარი სურვილის მიხედვით შეუძლიათ ნებისმიერ სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სწავლების ღირებულებაა 3000 მანეთი (ნაღდად ან გადარიცხვით).

უნივერსიტეტ „გეორგიაში" მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბერს, ხოლო სწავლა 15 სექტემბერს.

კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ უნივერსიტეტ „გეორგიას" მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები; უნივერსიტეტის შტატი დაკომპლექტებულია 16 პროფესორითა და 15 დოცენტით.

ჯგუფები დაკომპლექტდება 7-10 მსმენელით.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1) საშუალო ან საშუალო-სპეციალური განათლების ატესტატი ან, თუ XI-კლასელია, ცნობა დამამთავრებელ კლასში (კურსზე) ყოფნის შესახებ,
2) ჯანმრთელობის ცნობა,
3) პასპორტი,
4) 4 ფოტოსურათი 3X4 სმ-ზე.

საბუთებს მივიღებთ 29 მარტამდე ყოველდღე კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე.

სწავლა დაიწყება აპრილში.

მისამართი: მეტრო „დელისი", ვაჟა-ფშაველას პროსპ., 61, 151-ე საშუალო სკოლის შენობა.

ტელ: 31-18-68; 66-11-28; 66-72-86;

გამოსათხოვარი

თინა დონჟაშვილი

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედი თინა დონჟაშვილი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გულმართლად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობლიურ ლიტერატურას.

თინა დონჟაშვილი დაიბადა 1916 წლის 21 სექტემბერს თბილისში. 1934 წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე თინა დონჟაშვილი, როგორც სამხედრო ექიმი, ფრონტზე წავიდა, სადაც ომის დამთავრებამდე დაჰყო. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სხვადასხვა დროს მუშაობდა „ლიტერატურნაია გაზეტას" საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად.

თინა დონჟაშვილი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1946 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები. 1947 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მისი ვრცელი მოთხრობა „ვერ მიგატოვებ". ამ დროიდან მოყოლებული მწერლის ნაწარმოებები — მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრების სცენაზე.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდი ინტერესით ეცნობოდა თინა დონჟაშვილის მოთხრობებისა და რომანების კრებულებს („ვერ მიგატოვებ", „ჩემი მეგობარი", „განთიადი", „ალაზანზე", „გონჯაური"). სწორედ ამ ნაწარმოებებში გამოჩნდა მთელი სისავსით თინა დონჟაშვილის მწერლური ნიჭიერება, პროზაიკოსისთვის აგრერიგად საჭირო მახვილი თვალი, მოვლენების ღრმა ანალიზის უნარი. მისი ნაწარმოებების გმირები ქართული სოფლის მკვიდრნი არიან, რომლებიც შრომობენ, იბრძვიან, ამკვიდრებენ სიკეთისა და პატიოსნების ნათელ იდეალებს.

პირდაპირობა და პირუთვნელობა გამოარჩევდა მუდამ ამ ღვაწლმოსილ, მრავალჭირნახად შემოქმედსა და მოქალაქეს, რომლის ნათელი სახე დიდხანს ეხსომებათ ქართველ მწერლებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

თბილისის კულტურის აკადემია

დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის ქართული ქორეოგრაფიის, მუსიკისა და სათეატრო ხელოვნების ფაკულტეტებზე. აკადემია იმუშავებს შემოქმედებითი სახელოსნოების პრინციპით. მიღება იქნება დასწრებული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ქორეოგრაფიული სახელოსნო: ქართული ხალხური ცეკვის მსახიობ-მოცეკვავე, დამდგმელი ქორეოგრაფი.

(სახელოსნოთა ხელმძღვანელები — საქართველოს სახალხო არტისტები თენგიზ სუხიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ჭანიშვილი).

მუსიკის სახელოსნო: ქართული ხალხური გუნდის ლოტბარი, საეკლესიო გუნდის მგალობელი-რეგენტი.

(სახელოსნოთა ხელმძღვანელები — საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ანზორ ერქომაიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი გომარ სიხარულიძე).

თეატრალური სახელოსნო: ა) თეატრისა და სანახაობითი წარმოდგენების დამდგმელი რეჟისორი; ბ) თეატრისა და კინოს მსახიობი, ტელევიზიის დიქტორი. (სახელოსნოთა ხელმძღვანელები — საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი გიორგი ქავთარაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი გიორგი ხარაბაძე, საქართველოს სახალხო არტისტი ზინა კვერენჩხილაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნუგზარ ლორთქიფანიძე).

სწავლების ვადა 4 წელია. სწავლება ფასიანია (სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით).

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური სკოლის კურსდამთავრებულები. მუსიკის სპეციალობაზე შემსვლელებს უნდა ჰქონდეთ მუსიკალური განათლება.

აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება კონკურსით მისაღები გამოცდის (სპეციალობა) და გასაუბრების (კოლოქვიუმი) საფუძველზე.

სწავლა იქნება ქართულ ენაზე.

შენიშვნა: ა) მუსიკის ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციალური განათლება, მაგრამ გამოირჩევიან განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით, ჩაირიცხებიან ინტენსიური სწავლების ჯგუფში, რათა შეექმნათ ჩამორჩენის დაძლევის შესაძლებლობა.

ბ) აკადემიის ქორეოგრაფიულ ფაკულტეტს აქვს დაუსწრებელი განყოფილებაც, სადაც ჩაირიცხებიან სხვადასხვა კოლექტივებთან მომუშავე სათანადო სტაჟის მქონე ქორეოგრაფები ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის სათანადო რეკომენდაციის საფუძველზე.

ლექციების წასაკითხად და პრაქტიკული მუშაობის გასაწევად აკადემიაში მოწვეული არიან მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, კულტურის და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

აკადემიას აქტიური შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული რესპუბლიკისა და უცხოეთის შემოქმედებით ორგანიზაციებთან, ხელოვნების და კულტურის ცენტრებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან.

სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან, როგორც სასწავლებელთან შექმნილ მხატვრულ კოლექტივებსა და თეატრ-სტუდიაში, ასევე სახელმწიფო თეატრებსა და ანსამბლებში.

სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა სწავლების მთელ პერიოდში სტუდენტები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გაძლიერებულად შეისწავლიან უცხო ენას.

აკადემიის კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს საუნივერსიტეტო სპეციალობით.

სწავლების მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი), შრომის წიგნაკის ამონაწერი, სამედიცინო ცნობა (ფორმა №086), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ფოტოსურათი (3X4). პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 1992 წლის 1 ივნისიდან 20 ივლისამდე ყოველ დღე გარდა შაბათ-კვირისა 14-დან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1992 წლის 20 ივლისიდან.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი № 40, თბილისის კულტურის აკადემია. ტელ. 95-10-50, 95-74-26, 95-34-53.

რექტორატი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64434.